პროლეტარეებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

KOMUNISTI — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

10 მარტი შაბათი 1973 ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან ● № 58 (15575)

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და რესპუბლიკის პროფსაბჭოს იმ დადგენილების პასუხად ნაკისრი ვალდებულებანი, რომ გაიშალოს მეცხოველეობის მუშაკთა სოციალისტური შეჯიბრება 1972-1973 წლების ზამთრის პერიოდში მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების გაფართოებისათვის.

ПАРТИЙНЫЙ СОРЕВНОВАНИЕ ЖИВОТНОВОДОВ

СОЦИАЛИСТИЧЕСКОЕ СОРЕВНОВАНИЕ ПОСВЯЩАЕТСЯ ЮБИЛЕЮ ВЕЛИКОГО ОКТЯБРЯ

Мეტი ხორცი, რძე, კვერცხი!

მეცხოველეობის ფერმების რესპუბლიკური დათვალიერება

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფსაბჭოს გადაწყვეტილებით 1973 წლის 17 და 18 მარტს ეწყობა კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მეცხოველეობის ფერმების რესპუბლიკური დათვალიერება.

დათვალიერების მიზანია შესრულდეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და რესპუბლიკის პროფსაბჭოს იმ დადგენილების პასუხად ნაკისრი ვალდებულებანი, რომ გაიშალოს მეცხოველეობის მუშაკთა სოციალისტური შეჯიბრება 1972-1973 წლების ზამთრის პერიოდში მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების გაფართოებისათვის.

სოფლის მეურნეობის სამინისტრომ, საბჭოთა მეურნეობების სამინისტრომ, სოფლის მეურნეობისა და დამზადების მუშა-მოსამსახურეთა პროფკავშირის რესპუბლიკურმა კომიტეტმა მიიღეს დებულება კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მეცხოველეობის ფერმების რესპუბლიკური დათვალიერების შესახებ.

დათვალიერებას მასობრივი სახითა ექნება. დათვალიერებაში მონაწილეობას მიიღებენ პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული მუშაკები, სოფლის მეურნეობის სპეციალისტები, კულტურის, მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწენი, რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის ყველა დარგის მოწინავე ადამიანები.

დათვალიერებას წინ უძღვის მეცხოველეობის ცალკეულ დარგებში საქმის ვითარების ადგილებზე შემოწმება. შემოწმდება მეცხოველეობის ფერმების შემდეგი მაჩვენებლები: პირუტყვისა და ფრინველის სულადობა, ჯიშობრივი შემადგენლობა, პროდუქციის წარმოების მოცულობა, მისი ხარისხი, რეალიზაცია, ციხოვლების საკვებითა და სადგომებით უზრუნველყოფა, საკვებისა და შრომის დანახარჯები პროდუქციის ერთეულზე, ცენტნერი პროდუქციის თვითღირებულება, რენტაბელობა, მუშახელით უზრუნველყოფა, ზოოტექნიკური აღრიცხვის მდგომარეობა, შრომატევად სამუშაოთა მექანიზაციის დონე. დათვალიერების დროს შემოწმდება ფერმების მეცხოველეობის მუშაკთა უზრუნველყოფა ბინებით, სპეცტანსაცმლით, კვებით, ფერმების ვეტერინარული მომსახურება, მეცხოველეობის თვითეული მუშაკისათვის სადირექტივო ორგანოების დადგენილების გაცნობა მეცხოველეობის ყველა დარგის შემდგომი აღმავლობის შესახებ, სოციალისტური შეჯიბრების მიმდინარეობა და მისი შედეგების შეჯამება. ფერმების მუშაკთა შრომის ანაზღაურება, მატერიალური და მორალური წახალისების მეთოდები, მეცნიერების მიღწევებისა და მოწინავე გამოცდილების დანერგვა ფერმებში.

განისაზღვრება აგრეთვე, რამდენად სრულად ხორციელდება მეცხოველეობის შემდგომი განვითარების ღონისძიებანი, გამოვლინდებულია თუ არა გამოუყენებელი რეზერვები, მრწინავე და ჩამორჩენილი მეურნეობანი, ფერმები, ბრიგადები და ცალკეული მუშაკები.

დათვალიერების დროს გამოვლინებული მეცხოველეობის მოწინავე მეურნეობების, ფერმების, ფაბრიკების, საამქროების, ბრიგადების და ცალკეული მუშაკების წახალისებლად სოფლის მეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობების სამინისტროებმა, სოფლის მეურნეობისა და დამზადების მუშა-მოსამსახურეთა პროფკავშირის რესპუბლიკურმა კომიტეტმა დააარსეს სპეციალური პრიზები.

პრიზების მინიჭების ძირითადი პირობაა მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების უკანასკნელი ორი წლის კეგმებისა და სოციალისტური ვალდებულებების შესრულება, რასაც აუცილებლად უნდა ახასიათებდეს განუხრელი ზრდა. მხედველობაში იქნება მიღებული აგრეთვე ზემოთ ჩამოთვლილი მეცხოველეობის განვითარების ყველა მაჩვენებელი. (საქინფორმი).

ᲨᲔᲯᲘᲑᲠᲔᲑᲘᲡ ᲬᲐᲠᲩᲘᲜᲔᲑᲣᲚᲘ

ᲖᲠᲓᲘᲐᲜ ᲛᲒᲖᲐᲕᲠᲗᲐ ᲒᲐᲓᲐᲧᲕᲐᲜᲐᲡ

თბილისი. („კომუნისტის“ კორ.). დღითიდღე აუმჯობესებენ მგზავრთა მომსახურებას თბილისის მეტროპოლიტენის მუშაკები. წელს შარშანდელთან შედარებით სადგურებში მატარებლების მოსვლის დრო 1,5 წუთით შემცირდა და ახლა 2,5 წუთს უდრის. მეტროპოლიტენელებმა დროის ასეთ ეკონომიას მატარებლების რაოდენობის გადიდებით და მათი შეუფერხებელი მოძრაობით მიაღწიეს. ისინი იძებენ მოძრაობის დაჩქარების ახალ-ახალ რეზერვებს, რომ შემცირდეს მგზავრთა ნაკადის შეფფერხებელად „გადაყვანა. წელს მგზავრთა გადაყვანის ვეგმა 5 პროცენტით იზრდება და 102 მილიონ მგზავრს მიაღწევს, მაშინ როცა შარშან მხოლოდ 97,5 მილიონი მგზავრი გადაიყვანეს.

მეტროპოლიტენის სადგურებსა და დისტანციებში ბევრი საახლე ინერგება. მაგალითად, ახლახან სადგურ „რუსთაველში“ დამუშავდა ესკალატორების დისტანციური მართვა, ამ სიახლის დანერგვის შემდეგ გამოთავისუფლდება მუშახელი და საიმედო გახდება ესკალატორების მართვა.

ᲕᲘᲜᲪ ᲗᲐᲕᲘ ᲘᲡᲐᲮᲔᲚᲐ

თბილისის საქმაღლესო მოწყობილობის ქარხნის ზეინკალ-ამწყობის, კომკავშირულ-ახალგაზრდული ბრიგადის ხელმძღვანელის ვ. ლავრელაშვილის სამი რაციონალიზატორული წინადადება ყოველწლიურად ხაწარმოს 1.000 მანეთი ეკონომიას აძლევს. კოლექტივი, რომელსაც ის ხელმძღვანელობს, საწარმოში ერთ-ერთ მოწინავედ ითვლება. ბრიგადის თვითეული წევრი ცვლის დავალებას 125-130 პროცენტით ასრულებს. მეცხრე ხუთწლედის მეხუთე წლის ორი თვის ვეგმა ახალგაზრდა მუშებმა დიდი გადაჭარბებით შეასრულეს.

სურათზე: კომკავშირულ-ახალგაზრდული ბრიგადის ხელმძღვანელი, ზეინკალ-ამწყობი ვ. ლავრელაშვილი.

ნ. თევზაძის ფოტო. (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ბაკურიანი. (საკ. კორ.). ბარგანეცის ქალაქის ასალგაზრდობა წარმატებით უტევს ხუთწლედის ზღუდეებს, იბრძვის მეტი და მაღალხარისხოვანი მარგანეცის ამოღებისათვის. შარშანდელი მაჩვენებლებით საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებისათვის საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის ვიმპელი ასლახან საზეიმოდ გადაეცა მარგანეცრესტის ჯ. ი. ლენინის სახელობის მაღაროს მერვე საწარმოო უბნის კომკავშირულ-ახალგაზრდულ ცვლას, რომელსაც ჯ. ბახტურიძე უძღვება.

ნაკისრი ვალდებულებათა წარმატებით შესრულებისათვის საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი ვიმპელები გადაეცათ აგრეთვე ახალი ითვისების მაღაროთა ხამმართველოს ელმავლის კომკავშირულ ეკიპაჟს, რომელსაც გ. ლომიძე თავკაცობს, და მახტმშენის ხამმართველოს კომკავშირულ ორგანიზაციას.

ᲨᲔᲯᲘᲑᲠᲔᲑᲘᲡ ᲬᲐᲠᲩᲘᲜᲔᲑᲣᲚᲘ

პარტიული სიტყვის ქვეშ ითოგა

ᲐᲛᲐᲡ ᲬᲘᲜᲐᲗ ᲗᲙᲐᲜᲘ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დიდი შრომითი გამარჯვება მოულოცეს მთელი რიგი ოლქების მუშებმა, კვების, ხორცის და რძის მრეწველობის სამშენებლო ორგანიზაციათა და ხაწარმოთა კოლექტივებს. მათ პირნათლად შეასრულეს ხაწარმოო ხამძლავრეთა დაჩქარებული ამოქმედების 1972 წლისათვის ნაკისრი სოციალისტური ვალდებულებანი. როგორ მოიპოვეს წარმატება? რას შეუწყო ხელი მშენებლობა შრომითი ენერგიის, შემოქმედებითი აქტივობის განვითარების?

საგულისხმოა დონეცკის ოლქის პარტორგანიზაციათა გამოცდილება, სადაც მთელი რიგი კოლექტივები გახდნენ სახალხო მობმარების საქმენლის ხაწარმოთა უსწრაფესი მშენებლობისათვის შეჯიბრების ინიციატორები. სათავეში ჩაუდგნენ რა შეჯიბრებას, კომუნისტებმა იზრუნეს, რომ ყველა უბანზე ზუსტად შესრულებულიყო ორგანიზაციულ-ტექნიკური ღონისძიებანი და თვითეულ მუშას, სპეციალისტს პასუხი ეგო ნაკისრი ვალდებულებების ბედისათვის. გაჩაღდა შრომითი შეჯიბრება რგოლებს, ბრიგადებს, ხამშენებლო ორგანიზაციებს შორის. აგიტატორები და პოლიტინფორმატორები გასაგებად, კონკრეტული მაგალითებით აკლენენ პატრიოტული თაოსნობის ხაზოგადოებრივ მნიშვნელობას, მოწინავეთა გამოცდილებას, მათს შრომის მეთოდებს, თვითონ უჩვენებენ წარმოებაში დამკვრელური მუშაობის მაგალითს. ყოველივე ეს დაუხმარა მშენებლებს მიეღწიათ დახასული მიჯნებისათვის და ხუთწლედის შესაზე წლის პირველი დღეებიდანვე განეგრძოთ მუშაობა იმისათვის, რომ ღირსეული წვლილი შეეტანონ საბჭოთა ხალხის ცხოვრების დონის შემდგომი ამაღლების ფართო პროგრამის შესრულებაში, რომელიც მიიღო ხკკპ XXIV ყრილობამ.

ამ მაგალითიდან ჩანს, რა ბევრ რამეს ნიშნავს პოლიტიკური მუშაობა კოლექტივში, განსაკუთრებით დიდია პარტიული სიტყვის დამრაზმველი როლი ახლა, როცა ქვეყანაში გაიშალა სრულიად საკავშირო სოციალისტური შეჯიბრება. ახლა პარტიული კომიტეტებისა და პირველადი ორგანიზაციების მასობრივ-პოლიტიკურ საქმიანობაში მთავარია დაუხმარონ თვითეულს უფრო ზუსტად განსაზღვროს თავისი შესაძლებლობანი, თავისი ადგილი საერთო მწყობრში, გააერთიანონ ადამიანთა ღონისძიებანი ერთიან მიზნისაფებად, რათა წარმატებით შეასრულონ ვალდებულებანი. შემოქმედებითად ვიყენებთ რა გამოცდილებას, რომელიც შეეძინეთ სსრ კავშირის 50 წლისთავისათვის მზადების დროს, საჭიროვლად უნდა ავიღოთ პოლიტიკური გავლენის მრავალფეროვანი ფორმები და მეთოდები, რომლებმაც გაამართლეს თავიანთი დანიშნულება, — მუშათა კრებები, ლექციები და ამხანაგური ხაუბრები, მივაღწიოთ მათს ღრმა კავშირს ცხოვრებასთან და კოლექტივების საქმეებთან.

მახობრივ-პოლიტიკური მუშაობის დონეზე ბევრად არის დამოკიდებული ის, რომ თანმიმდევრულად განხორციელდეს სოციალისტური შეჯიბრების უმნიშვნელოვანესი პრინციპები — საჯაროობა და შედეგების შესადარება, ვთქვათ, ჯამდეს ერთი თვის, ერთი კვირის, ერთი ცვლის შედეგები. განა ყველა იცნობს მათ? განა ყოველთვის უკეთებენ ანალიზს ამ შედეგებს, გამოაქვთ საჭირო დასკვნები? კომუნისტთა ხაზრუნავია დღეისადაგ აცნობებდნენ კოლექტივს, თუ როგორ მიმდინარეობს შეჯიბრება ოლქში, რაიონში, ხაწარმოში, უამბონ, თუ როგორ შრომობენ მოწინავენი, ვინ და რატომ ჩამორჩება, შეუქმნან თვითეულს ხაუკეთესო მიღწევათა სრულყოფის, პრაქტიკული განმეორების პირობები.

ქარხნებში და მშენებლობებზე, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში მუშაობენ კომუნისტური შრომისა და მოწინავე გამოცდილების სკოლები, ნოვატორთა საბჭოები, ტრადიციად იქცა კადრის მუშათა და სპეციალისტთა შეფობა ახალგაზრდობისადმი. საქმიანობის ფართო ახპარეზი იშლება აქ აგრეთვე აგიტატორებისათვის, პოლიტინფორმატორებისათვის, ლექტორებისა და მომხსენებლებისათვის. მათი გავლენის ძალა, შედეგიანობა უშუალოდ არის დაკავშირებული იმასთან, თუ რამდენად ღრმად განმარტავენ შეჯიბრების ამოცანებსა და ცოცხალ დინამიკას, მოწინავეთა ოსტატობის „საიდუმლოებებს“, მეცნიერულ-ტექნიკურ ხიახლეთა დანერგვის გზებს. ეს ხასიათით ეხება აგრეთვე ადგილობრივი პრესის გამოსვლებს, ტელევიზიისა და რადიოს გადაცემებს, ზეპირი და თვალსაჩინო აგიტაციის ყველა საშუალებას.

მაგრამ ჯერ კიდევ ხშირად მასობრივ-პოლიტიკურ მუშაობას ეწევა ადამიანთა ვიწრო წრე, ცხოვრებისაგან მოწყვეტილი. გვხვდება ფაქტები, როცა ზერელედ უდგებიან გამოცდილების შესწავლასა და გავრცელებას. ფორმალურად „იწონებენ“ სახარგებლო თაოსნობებს. ზოგჯერ მიაჩნიათ, რომ ეხა თუ ის თაოსნობა ფართოდ გავრცელდა, ბევრი მიმდევარი გაუჩნდა. ეს ჩანს ცნობებიდან და ანგარიშებიდან. ფაქტიურად კი, თუ საქმეს ღრმად ჩავწვდებით, ნამდვილი მიმდევრები გაცილებით ნაკლები აღმოჩნდება ხოლმე. ცნობებში შეაქვთ ყველა მუშაკი, რომელსაც აქვთ „შეხფერისი“ მაჩვენებლები, თუმცა ზოგიერთს, როგორც ირკვევა, თაოსნობის შესახებ მხოლოდ გაგონილი აქვს.

აგიტატორი, პოლიტინფორმატორი მოვლენათა რეგისტრატორი როდია, იგი უნდა იყოს პარტიის ენერგიული მებრძოლი. თუ ხუბრის დროს გამოვლინდა ნაკლოვანებანი, რომლებიც ხელს უშლიან ვალდებულებათა წარმატებით შესრულებას, აგიტატორის მოვალეობაა იმოქმედოს! აქ ცოტას ნიშნავს, ვთქვათ, ის, რომ პარტკომს აცნობო თვით ფაქტი — უნდა გაარკვიო ჩამორჩენის მიზეზები, მიაღწიო ეფექტიან ღონისძიებათა განხორციელებას ხაქმის გასაუმჯობესებლად. უპირველესი ხაზრუნავი პოლიტიკური მებრძოლისა — ასეთი კი ყოველი კომუნისტი უნდა იყოს — არის ის, რომ პრინციპულად გამოვიდეს ყოველივე იმის წინააღმდეგ, რაც ეფერხება სოციალისტური შეჯიბრების შემდგომ განვითარებას, აბრკოლებს მასების შრომითი აქტივობის ზრდას.

პარტიულ ორგანიზაციათა მთელი მუშაობა, რომელიც დაკავშირებულია შეჯიბრებასთან, შემოქმედებითი ხაქმეა, მას არ უნდა ახასიათებდეს შაბლონი და კაზიონურობა. ჩვენს იდეოლოგიურ კადრებს მოეთხოვებათ მუდამ ზრუნავდნენ მასებში პოლიტიკური გავლენის ფორმებისა და მეთოდების სრულყოფისათვის, ანალიზს უკეთებდნენ მის რეალურ უკუგებას. ადგილობრივი პარტიული ორგანოების უმნიშვნელოვანესი მოვალეობაა გააძლიერონ ყურადღება ორგანიზატორული და ალმზრდელობითი ხაქმიანობის ხაკითხებისადმი, უფრო ფართოდ ჩაბან ამ ხაქმიანობაში ყველა კომუნისტი, ხაქმიანად დაეხმარონ აგიტატორებს, პროპაგანდისტებს, მომხსენებლებს, უკეთ მოაწყონ მათი ინფორმირება, მოაგვარონ გამოცდილების გაზიარება. ხაზარგებლო ინიციატივა გამოიჩინა, მაგალითად, პარტიის მოსკოვის ხაქალაქო კომიტეტმა, რომელმაც აგიტკოლექტივთა ხელმძღვანელებს ხაქალაქო სემინარის განსახილველად გამოიტანა მახობრივ-პოლიტიკური მუშაობის აქტუალური პრობლემები ხუთწლედის მეხუთე წლისათვის ნაკისრ ვალდებულებათა წარმატებით შესახრულებლად შეჯიბრების განვითარებასთან დაკავშირებით.

აგიტატორები. პროპაგანდისტები მუდამ იყოს პარტიის აქტიური ძალა მასების დარაზმვაში ხამეურნეო და კულტურული მშენებლობის ამოცანათა გადაწყვეტისათვის და ახლა, როცა ცხოვრება მათ ახალ მაღალ მოთხოვნებს უყენებს, უფრო სრულად უნდა გამოიყენონ შეძენილი გამოცდილება, უფრო მჭიდროდ დაუკავშირონ თავიანთი საქმიანობა შრომითი კოლექტივების უმნიშვნელოვანეს ხაზრუნავს. დაე დღითიდღე სულ უფრო მკაფიოდ, უფრო დამაჯერებლად გაისმოდეს მებრძოლი პარტიული სიტყვა და დარაზმოს მილიონობით შრომელნი სოციალისტურ შეჯიბრებაში ახალ წარმატებათა მოსაპოვებლად!

ПРАВДА

● მარტის მოწინავე

Ლ. Ი. ᲑᲠᲔᲟᲜᲔᲕᲘᲡᲐ ᲛᲘᲘᲦᲚᲝ ᲐᲚᲘ ᲜᲐᲡᲔᲠ ᲛᲔᲣᲠᲐᲛᲔᲚᲘ

● მარტს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ლ. ი. ბრეჟნევმა მიიღო იემენის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის ეროვნული ფრონტის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი და თავდაცვის მინისტრი ალი ნასერ მუჰამედი, რომელიც სტუმრად არის საბჭოთა კავშირში.

საუბრის დროს, რომელმაც გულთბილ, ამხანაგურ ვითარებაში ჩაიარა, განიხილეს საბჭოთა კავშირ-საბრეთ იემენის ურთიერთობის განვითარებისა და გამაკეცების საკითხები, აგრეთვე ახლო აღმოსავლეთის და, კერძოდ, არაბეთის ნახევარკუნძულის სამხრეთი ნაწილის მდგომარეობა. ხაზგასმით აღინიშნა, რომ საბჭოთა კავშირი და იემენის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკა კვლავაც მტკიცედ დაუჭერენ მხარს არაბი ხალხების ბრძოლას იმისათვის, რომ ისრაელმა გაიყვანოს ჯარები 1967 წელს ოკუპირებული არაბული ტერიტორიებიდან და უზრუნველყოს პალესტინის არაბი ხალხის კანონიერი უფლებანი, რომ ახლო აღმოსავლეთში დამყარდეს სამართლიანი და მტკიცე მშვიდობა.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ლ. ი. ბრეჟნევმა დაადასტურა, რომ უცვლელია საბჭოთა კავშირის პრინციპული კურსი, რომელიც მიზნად ისახავს დემოკრატიული იემენის ხალხის მხარდაჭერას პროგრესული სოციალურ-ეკონომიური გარდაქმნების განხორციელებისათვის ბრძოლაში.

ალი ნასერ მუჰამედმა თავისი ქვეყნის ხელმძღვანელობისა და ხალხის სახელით მხურვალე მადლობა გადაუხადა სკკპ ცენტრალურ კომიტეტსა და საბჭოთა მთავრობას მუდმივი დახმარებისა და მხარაჭერისათვის, რასაც საბჭოთა კავშირი უწევს იემენის სახალხო დემოკრატიულ რესპუბლიკას.

საუბარს დაესწრო იემენის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის ელჩი სსრ კავშირში ამჰედ ხალეჰ აშ-შაერი.

ᲘᲔᲛᲔᲜᲘᲡ ᲡᲢᲣᲛᲠᲘᲡ ᲞᲐᲢᲘᲕᲡᲐᲪᲔᲛᲐᲓ

სსრ კავშირის მთავრობის სახელით 7 მარტს ხაუზმე გაუმართეს იემენის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის დელეგაციის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრსა და თავდაცვის მინისტრს ალი ნასერ მუჰამედს მეთაურობით.

იემენის მხრივ ხაუზმეზე იყვნენ იემენის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის თანმხლები პირნი.

საბჭოთა კავშირის მხრივ ხაუზმეზე იყვნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე კ. ტ. მაზუროვი. სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ბ. ნ. პონომარიოვი და სხვები.

ხაუზმის დროს კ. ტ. მაზუროვმ და ალი ნასერ მუჰამედმა სიტყვები წარმოთქვეს.

ხაუზმემ გულთბილ, მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა. (საკ. ინფ.).

ᲓᲔᲙᲔᲨᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲪᲕᲚᲐ

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ა. ნ. კოსიგინმა მთავრობის მეთაურის პოსტზე დანიშვნის გამო მისალოცი დეპეშა გაუგზავნა ბელგიის პრემიერ-მინისტრს ედმონ ლებიურტონს.

საპასუხო დეპეშაში ბელგიის პრემიერ-მინისტრმა მადლობა გადაიხადა მილოცვისა და კეთილი სურვილებისათვის. (საკ. ინფ.).

ᲙᲣᲑᲐ-ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐᲨᲘ ᲓᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

კუბის რესპუბლიკასა და საბჭოთა კავშირს შორის ყოველმხრივი თანამშრომლობისა და მეგობრობის განმტკიცებასა და გაღრმავებაში ჭეშტარი მუშაობისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით კუბის რესპუბლიკის ელჩი სსრ კავშირში რაულ ბარნეა პელაეზი დაჯილდოდა შრომის წითელი დროშის ორდენით.

7 მარტს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილემ ტ. კულატოვმა რაულ ბარნეა პელაეზს კრემლში გადასცა შრომის წითელი დროშის ორდენი.

ᲘᲔᲛᲔᲜᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲕᲐ

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით 1973 წლის 17 და 18 მარტს ეწყობა კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მეცხოველეობის ფერმების რესპუბლიკური დათვალიერება.

ᲒᲠᲫᲐᲜᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐ ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡᲐ

ᲜᲒᲣᲔᲜ ᲝᲗᲝ ᲑᲘᲜᲘᲡ ᲮᲐᲚᲮᲗᲐ ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲝᲑᲘᲡ ᲝᲠᲓᲔᲜᲘᲗ ᲓᲐᲯᲘᲚᲓᲝᲛᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲘᲡᲐ, (საკ. ინფ.). ᲓᲐᲛᲘᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲛᲘᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲛᲘᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲘᲗ

ᲙᲐᲢᲐᲡᲢᲠᲝᲤᲐ ᲒᲖᲐᲖᲔ

ᲗᲐᲜᲐᲛᲨᲠᲝᲛᲚᲝᲑᲘᲡ ᲡᲣᲚᲘᲡᲙᲕᲔᲗᲔᲑᲘᲗ

ᲘᲐᲞᲝᲜᲔᲚᲔᲑᲘ ᲔᲪᲜᲝᲑᲘᲐᲜ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲐᲛᲘᲔᲠᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲐᲡ

ᲐᲠᲦᲕᲔᲕᲔᲜ ᲨᲔᲗᲐᲜᲮᲛᲔᲑᲐᲡ

ᲙᲐᲢᲐᲡᲢᲠᲝᲤᲐ ᲒᲖᲐᲖᲔ

ერთი საწარმოს ხუთწლედი

მიღწევები, პრობლემები, პერსპექტივები

ასე იბრძვიან ქუთაისელი ავტომშენებლები შრომის მაღალი ნაყოფიერებისათვის

1.

ქუთაისის ს. ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხნის კოლექტივმა მეცხრე ხუთწლედის საგეგმო დავალებათა წარმატებით შესრულებას მყარი ეკონომიური საფუძველი მერვე ხუთწლედშივე მოუმზადა.

გასულ ხუთწლედში ერთიორად გაიზარდა ქარხნის მიერ წარმოებული და რეალიზებული პროდუქცია, საგრძნობლად ამაღლდა შრომის ნაყოფიერება და ფონდამოგება.

ქართველ ავტომშენებელდა მუშაობის გაუმჯობესებაზე, მათ მაღალნაყოფიერ შრომაზე განსაკუთრებით კეთილმყოფელი გავლენა მოახდინა 1968 წლის 1 იანვრიდან დაგეგმვისა და ეკონომიური სტიმულირების ახალ სისტემაზე გადასვლამ. მეურნეობის წარმართვის ახალი პრინციპები წლიდან წლამდე სულ უფრო მტკიცედ, სრულად და თანმიმდევრულად მკვიდრდებოდა ქარხნის ცხოვრებაში. აქ დიდი მუშაობა ჩატარდა მუშა-მოსამსახურეთა ეკონომიური ცოდნის გასაღრმავებლად.

საგანგებო ყურადღება მიექცა წარმოებისა და შრომის ორგანიზაციის გაუმჯობესებას, გადამწყვეტ უბნებზე ახალი ტექნიკის დანერგვას, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებას, საერთოდ, წარმოების ზრდის მუდმივმოქმედ, ინტენსიურ ფაქტორებს. ამან მნიშვნელოვანწილად განსაზღვრა საწარმოს რიტმული, შეუფერხებელი მუშაობა, აამაღლა წარმოების ეფექტიანობა. თუ 1968 წელს პროდუქციის მთელი მატების მხოლოდ 81,8 პროცენტი მოდიოდა შრომის ნაყოფიერების ამაღლებაზე, 1969 წელს მან 99,6 პროცენტს მიაღწია, ხოლო 1970 წლიდან პროდუქციის მთელი მატება შრომის ნაყოფიერების ხარჯზე მოდის.

1970 წლის მეორე ნახევრიდან ქარხანას მყარი საფინანსო მდგომარეობა აქვს. სამეურნეო-საფინანსო საქმიანობის თანმიმდევრულმა გაუმჯობესებამ საშუალება მისცა ქარხანას ერთიორად შეემცირებინა ნასესხები სახსრები. ამჟამად ქარხანა, თუ არ ჩავთვლით სესხს გადატვირთულ პროდუქციაზე, არ საჭიროებს ნასესხებ სამუალებებს. საწარმო უპირატესად საკუთარი საშუალებებით უზრუნველყოფს მთელ თავის სამეურნეო საქმიანობას.

საავტომობილო ქარხანა წლიდან-წლამდე ინარჩუნებს წარმოების მოცულობისა და ეფექტიანობის ზრდის მაჩვენებელთა მაღალ ტემპებს.

შესანიშნავი მაჩვენებლებით დაამთავრა ქარხნის კოლექტივმა გასული სამეურნეო წელი. საწარმომ პროდუქციის რეალიზაციის გეგმის შესრულება სამშობლოს უპატაჟო ხსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავის აღსანიშნავად ხაზეიმო სხდომის მსელელობის პერიოდში 21 დეკემბერს, ე. ი. ოთხი დღით ადრე, ვიდრე ვალდებულებით იყო გათვალისწინებული. ავტომშენებლებმა სახალხო მეურნეობის ცალკეულ დარგებს გეგმის ზვით 3.658 ათასი მანეთის სამრეწველო პროდუქცია მიაწოდეს. წარმოების მოცულობა წინა წელთან შედარებით გაიზარდა 5,8 პროცენტით (ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 5,3 პროცენტისა), რაც მიღწეულ იქნა მხოლოდ შრომის ნაყოფიერების ზრდის ხარჯზე. ვადამდე შესრულდა 200 დასახელების სათადარიგო ნაწილების წარმოების, ეგრეთვე საექსპორტოდ განკუთვნილი პროდუქციის მიწოდების გეგმა.

გასულ წელს ქარხანაში პროდუქციის თვითღირებულების შემცირების შედეგად მიღებულია მილიონზე მეტი მანეთის ეკონომია. ზეგეგმითმა მოგებამ 1.600 ათას მანეთს მიაღწია. საერთო რენტაბელობის დონე 1971 წელთან შედარებით 4,4 პროცენტით, ხოლო რენტაბელობის დონე 5 პროცენტით ამაღლდა. მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა გამოშვებული პროდუქციის ხარისხი, რამაც 36,6 პროცენტით შემცირა წუნად გამოწვეული დანაკარგები. ამ პერიოდში ფონდამოგება გაიზარდა 16,7 პროცენტით, ხარჯუნაკ სამუალებათა ბრუნვადობა კი 2,4-ჯერ დაჩქარდა.

ქარხნის მუშაკებმა სოციალისტური ვალდებულებათა გათვალისწინებული 300 ტონის ნაცვლად შარშან დაზოგეს 385 ტონა შავი ლითონი, 10 ტონა ფერადი ლითონის ნაცვლად — 12,3 ტონა, 500 ათასი კილოვატსაათი ელექტროენერგიის ნაცვლად — 1.700 ათასი კილოვატ-საათი. დაზოგილმა თანხამ 618,7 ათასი მანეთი შეადგინა, რაც 23,7 ათასი მანეთით აღემატება ვალდებულებათა გათვალისწინებულს.

1972 წელს 1968 წელთან შედარებით ეკონომიური სტიმულირების ფონდები ითვქმის სამჯერ გაიზარდა. მეცხრე ხუთწლედის პირველი ორი წლის მანძილზე მატერიალური წახალისების ფონდიდან სამრეწველო-საწარმოო პერსონალის პრემიების მიზნით გაიცა 2.597 ათასი მანეთი. საგულისხმოა, რომ ამ პერიოდისათვის წლიური შედეგების მიხედვით მუშაკთა წახალისებელად 873 ათასი მანეთი დაიხარჯა. გასულ წელს პრემიების ორი წყაროდან — ხელფასის ფონდიდან და მატერიალური წახალისების ფონდიდან ხელფასის 1.729 ათასი მანეთი მიიღეს. სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულ კოლექტივებზე კი ჯილდოს სახით 84 ათასი მანეთი გაიცა.

ანგარიშგასაწევია ისიც, რომ თუ 1971 წელს წარმოების განვითარების ფონდის სახსრებით საწარმოს 629 ათასი მანეთის ღირებულების ძირითადი ფონდები შეეძინა, გასულ წელს ამ მიზნით წარმოების განვითარების ფონდიდან მილიონზე მეტი მანეთი დაიხარჯა.

საავტომობილო ქარხანაში წლიდან წლამდე უმჯობესდება პროდუქციის გამოშვების რიტმულობა. გასულ წელს ამ პირველ [illegible] საშუალოდ მოდიოდა მთელი პროდუქციის გამოშვების 29,2 პროცენტი მეორეზე — 33,4, ხოლო მესამეზე — 37,4 პროცენტი.

წარმოების ეფექტიანობის ზემოხსენებულ მაჩვენებელთა სისტემატური გაუმჯობესება, სახელმწიფო დავალებების შესრულება ნომენკლატურის ზუსტი დაცვით მის უფრო საგულისხმოა, რომ ამ მაჩვენებლების გაუმჯობესების პარალელურად ქარხანა წლიდან წლამდე ამცირებს სამრეწველო-საწარმოო პერსონალის რიცხვს. ქარხნის სამრეწველო-საწარმოო პერსონალი შარშან 1971 წელთან შედარებით 140 კაცით შემცირდა, სამაგიეროდ მნიშვნელოვნად ამაღლდა მაღალკვალიფიციურ და კვალიფიციურ მუშაკთა ხვედრი წონა მუშაკთა საერთო რიცხოვნობაში.

წარმოების ეფექტიანობის ამაღლებას დიდად შეუწყო ხელი ქარხნის მართვის სტრუქტურის გაუმჯობესებამ. უკანასკნელ ორ წელიწადში აქ განხორციელდა პატარა უბნების გაერთიანების ღონისძიებანი. კერძოდ, საწნეხ და საძარე საამქროთა ბაზაზე შეიქმნა საწნეხ-საძარე საამქრო, ალრე არსებული სტანდარტიზაციისა და ნორმალიზაციის ჯგუფების ბაზაზე კი სტანდარტიზაციისა და ნორმალიზაციის განყოფილება და სხვ.

ავტომშენებელთა მაღალნაყოფიერი მუშაობა ყველა ეტაპზე შესაბამისი ჯილდოებით აღინიშნა. საამქროთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნის 50 წლის საიუბილეო თარიღისადმი მიძღვნილ სოციალისტურ შეჯიბრებაში მიღწეული წარმატებისათვის გასული წლის პირველ და მეორე კვარტალში ქარხნის კოლექტივმა საავტომობილო მრეწველობის საწარმოთა შორის ორჯერ მოიპოვა მეორე ადგილი და მეორე ფულადი პრემია, ხოლო მეხამე კვარტალში თავისი არსებობის ისტორიაში ქარხანამ პირველად მოიპოვა ხსრ კავშირის საავტომობილო მრეწველობის სამინისტროს და ამ დარგის მუშაკთა პროფკავშირების ცენტრალური კომიტეტის მიერ დაწესებული პირველი ადგილი, გარდამავალი წითელი დროშა და პირველი ფულადი პრემია. წლიური სახელმწიფო გეგმის წარმატებით განაღდებისათვის კი ქარხნის კოლექტივი დაჯილდოვდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის, საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო პროფსაბჭოს საიუბილეო სპატიო ნიშნით და საკავშირო პირველი ფულადი პრემიით.

სად უნდა ვეძებოთ ქუთაისელ ავტომშენებელთა წარმატების „საიდუმლო"? ეს „საიდუმლო" მრავალწახნაგოვანია, იგი პარტიულ-ორგანიზატორული მუშაობის, ხელმძღვანელობის ფორმებისა და მეთოდების სრულყოფის, ტექნიკური და ეკონომიური სამსახურის, ყოველი უბნის, თვითეული მუშაკის საქმიანობის კომპლექსურ გაუმჯობესებასთან არის დაკავშირებული.

2.

მეცხრე ხუთწლედში ქუთაისელ ავტომშენებელთა წინაშე დასახულ ამოცანათა წარმატებით გადაწყვეტა ბუნებრივად მოითხოვდა აქციენტის გადატანას წარმოების ზრდის ინტენსიურ ფაქტორებზე. ამიტომ აქ კონკრეტული პირობების, ეკონომიური და სოციალური პროგრესის ამოცანების მიხედვით კარგახანს შემუშავდა წარმოების ინტენსიფიკაციის კომპლექსური ღონისძიებები.

წარმოების მაღალი ეფექტიანობის, მისი ინტენსიფიკაციის გადამწყვეტი პირობა ტექნიკური პროგრესი. ტექნიკური პროგრესს შეიძლება უმთავრესი გვუწოდოთ იმ ღონისძიებათა სისტემაში, რომლებიც განსაზღვრავენ ქარხნის ინტენსიფიკაციის ტემპებს.

ინტენსიური მუშაობა მიმდინარეობს საწარმოო პროცესების მექანიზაციისა და ავტომატიზაციისათვის. გასულ წელს აქ მწყობრში ჩადგა ათეულობით ავტომატური და ნახევრადავტომატური ჩარხი, დამონტაჟდა ახალი კონვეიერული ხაზები, მოდერნიზებულია ასობით დანადგარი, შეიცვალა და უფრო სრულყოფილი გახდა 173 ტექნოლოგიური დანადგარი. მიმდინარე ხუთწლედის ორი წლის მანძილზე ქარხანამ საექსპლოატაციოდ გადასცა 40-ზე მეტი სამეცნიერო-საკვლევო დანადგარი, 200-მდე ათეთრდამმუშავებელი ჩარხი. ახალი ტექნიკის 31 ღონისძიების დანერგვით ქარხანამ შარშან ნახევარ მილიონზე მეტი წლიური პირობითი ეკონომია მიიღო.

უკანასკნელ წლებში ქარხანაში გამოვლინდა ტექნიკური პროგრესის ასობით ენთუზიასტი, ტექნიკური პროგრესის პირობებში ფართოვდება კადრებთან მუშაობის მასშტაბი, ტექნიკური ინტელიგენციის შემოქმედებითი აქტივობის გამოვლინების ფორმები. ტექნიკისა და ტექნოლოგიის სრულყოფის საქმეში ქარხნის მუშაკების დიდ დახმარებას უწევს მოსკოვის მანქანათსამშენებლო სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი, სავტომობილო მრეწველობის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის მინსკის ფილიალი, საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი და სხვ.

მსოფლიო სტანდარტების შესაბამისი პროდუქციის დამზადების სიდიდისა ამოცანათა უკარნახა ავტომშენებლებს შემოქმედებითი მუშაობა გაეშალათ პროდუქციის ხარისხის სრულყოფისა და მისი მოდიფიკაციისათვის. პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებას განსაკუთრებული ყურადღება მიექცა მას შემდეგ, რაც 1970 წლის დასაწყისში გაზეთ „პრავდის" ფურცლებზე გამოქვეყნდა ნოვოსიბირსკელ მძღოლთა წერილი ქუთაისელ ავტოსაწევრების დამზადებისა და აკრების ზოგიერთი ხარვეზოვანი მხარის შესახებ. ეს წერილი საგანგებოდ განხილეს ქარხნის პარტიულ აქტივს კრებაზე, დაისახა საქმიანი ღონისძიებანი, რომელთა განხორციელებამ მნიშვნელოვნად გაუმჯობესა ავტოსაწევრების ხარისხი. გამოშვებული პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით მიმდინარე ხუთწლედის პირველი ორი წლის მანძილზე აქ შემუშავდა და დანერგა 274 ღონისძიება.

პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებას დიდად შეუწყო ხელი ბალური სისტემის დანერგვამ, რომელიც ითვალისწინებს მუშების მატერიალურ სტიმულირებას მათ მიერ შესრულებული ოპერაციების მაღალხარისხოვნად შესრულებისათვის. აქ მატერიალური წახალისების ფონდის ოდენობა პირდაპირ კავშირშია პროდუქციის ხარისხთან. ეს სისტემა ყველაზე ეფექტიანად გამოიყენება ავტომატურ ოპერაციებზე, წინა და უკანა ხიდების, ძრავების და შანქანების აკრების კონვეიერებზე. შესრულებული ოპერაციების პასუხისმგებლობის ამაღლების მიზნით ამ მოწინავე მაღალკვალიფიციურ მუშებს ეძლევათ პირადი დამღა, რომლებიც პროდუქციის ამბრების ტექნიკური კონტროლის განყოფილების შეუმოწმებლად. თუ 1970 წელს პირადი დამღა ჰქონდა 35 მუშას, ამჟამად მათმა რიცხვმა 250 გადააჭარბა.

კარგი შეეძენა გამოიცა ავრეთვე მთავარი კონვეიერისა და საწნეხ-საძარე საამქროში ხარისხის შტაბის შექმნამ. როგორც წესი, საამქროებში კვირაში ერთხელ ტარდება სხდომები პროდუქციის უშალოდ მწარმოებელთა მონაწილეობით. მრავალ საამქროში ორგანიზებულია „წუნის გარჩევის მოედნები", სადაც განიხილავენ წუნდებული პროდუქციის გამოშვების გამომწვევ მიზეზებს, ავლენენ წუნისმკეთებლებს და ვამოაქვთ სათანადო დასკვნები.

პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისათვის ნატრუბულმა ღონისძიებებმა საგრძნობლად შეამცირეს მომხმარებლებისაგან მიღებული რეკლამაციების რიცხვი, ამასთან საგრძნობლად შემცირდა შრომატევადობა, ამაღლდა შრომის ნაყოფიერება.

წარმოების შემდგომი განვითარებისათვის, ახალი ხიმძლავრეების ათვისებისა და მომსახურებისათვის საჭირო მუშაკთა დამატებითი რიოდენობა. შრომითი რესურსების დაძაბული ბალანსის პირობებში კი დამატებით მუშახელზე ორიენტაციის აღება არ შეიძლება. მთავარი, რისი იმედიც უნდა ჰქონდეს ქარხანას, ეს არის მუშაკთა შრომის ნაყოფიერების განუხრელი ამაღლება. შრომის ნაყოფიერების ამაღლების პირადი გეგმა ამჟამად ქარხნის 2000 მუშას აქვს, ხოლო შრომის ნაყოფიერების ამაღლების კომპლექსური გეგმით მუშაობს 27 ბრიგადა, რომელთა შემადგენლობაში 275 კაცია.

საავტომობილო მრეწველობის სამინისტრომ გასული წლის 1 ოქტომბრიდან სწორედ რომ დროულად მიიღო დადგენილება ქარხანაში შჯეკინოელთა მეთოდის გატარების შესახებ. ამ მეთოდის დამახასიათებელი თავისებურება სწორედ ის გახლავთ, რომ დაიანგარიშოს ინტენსიფიკაციის ეფექტიანი მიმართულებების შერჩევისა და მათი პრაქტიკაში გამოცდის ყველაზე საპასუხისმგებლო საქმე ქარხნის ეკონომიური სამსახურის მუშაკებს აკისრიათ. უკანასკნელ წლებში შეუდარებლად ამაღლდა ეკონომისტის როლი საწარმოში. ეკონომიური გაანგარიშებანი და დასაბუთების გარეშე შეუძლებელია სწორად გადაწყდეს რამდენიმე მნიშვნელოვანი სერიოზული საკითხი, რაც დაკავშირებულია ტექნიკურ პროგრესთან, შრომის ნაყოფიერებასთან, პროდუქციის ხარისხთან, მომეპირნეობის რეჟიმთან და სხვ.

ქარხნის ეკონომისტების უშუალო ხელმძღვანელობით და მონაწილეობით დამუშავდა და მოქმედებს 20 დასახელების პრემიების დებულება. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ ამჟამად ყველა საამქროს დადგენილი აქვს მატერიალური წახალისების ფონდების წარმოქმნის დიფერენცირებული ნორმატივები. საგულისხმოა ისიც, რომ პრემიების დებულებით აქ ყველგან ითვალისწინებენ შრომის დისციპლინის დამრღვევთა დეპრემიებას.

უკანასკნელ ხანს განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ხამუშაოები ჩაგარდა ხაბუღალტრო აღრიცხვის ცენტრალიზაციისა და მექანიზაციის შემდგომი სრულყოფისათვის. ქარხნის ბუღალტერიის ცენტრალიზაცია მოხდა საამქროთა მუშაობის სპეციფიკის გათვალისწინებით. ცენტრალიზაციის შედეგად შეიქმნა 4 ჯგუფური ბუღალტერია: მეტალურგიულ საამქროთა ბუღალტერია (რომელიც აერთიანებს 6 საამქროს საბუღალტრო აღრიცხვას), საწნეხ საამქროთა ბუღალტერია (ემსახურება 4 საამქროს), მექანიკურ საამქროთა ბუღალტერია (ემსახურება 6 საამქროს) და დამხმარე საამქროთა ბუღალტერია (ემსახურება 9 საამქროს). ამ ღონისძიებათა შედეგად გამთავიუსულია 5 უფროსი ბუღალტერი და 2 ბუღალტერი. საამქროთა ცენტრალიზაციამ გარდა ამისა, რომ გააიაფა საბუღალტრო აღრიცხვის აპარატი, საშუალება მისცა ქარხანას მოეხდინა პირველად აღრიცხვის დოკუმენტრბის მთლიანი მექანიზაცია ძირითადი საშუალებების კლასიფიკაციისა და საამქროთა მიხედვით, რამაც მნიშვნელოვნად გაუმჯობესა პირველადი საღრიცხვო დოკუმენტების დამუშავების ხარისხი, შეამცირა მისი ვაღები, ანგარიშგა გახდა უფრო ოპერატიული და ობიექტური.

გამოვიდნენ რა საამქროთა ხელმძღვანელების უშუალო დაქვემდებარებიდან, ბუღალტერიის მუშაკებმა შესამჩნევად გააძლიერეს კონტროლი საამქროთა საქმიანობაზე. ისინი აქტიურად მონაწილეობდნენ ეკონომიურ მაჩვენებელთა განხილვაში, საბალანსო კომისიების მუშაობაში და სხვ.

ქარხანაში სამეურნეო რეფორმის ერთ-ერთ მთავარ მიღწევად შეიძლება ჩაითვალოს ის ფაქტი, რომ საწარმოს მუშაკები (მათ შორის არაეკონომისტებიც) სულ უფრო მეტ დროსა და ენერგიას უთმობენ ეკონომიკის საკითხების დამუშავებას, ყურენენ კონკრეტულ წინადადებებს რეფორმის მექანიზმის შემდგომი სრულყოფისათვის, ძიენენ ეკონომიური ბერკეტების უნარიანად გამოყენებას ჩვენებს. ამ მხრივ რეფორმამ დიდი ფსიქოლოგიური გარდაქმნა მოახდინა. ამიტომ ბუნებრივია, რომ სოციოლოგიური გამოკვლევის დროს კითხვაზე „ეკონომიური ცოდნის ამაღლება ახდენს თუ არა დადებით გავლენას თქვენს შრომითს საქმიანობაზე" — გამოკითხულ 900 მუშაკიდან 97 პროცენტმა დადებითად უპასუხა.

3.

როცა ქუთაისელ ავტომშენებელთა მიღწევებზე ვლაპარაკობთ, საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ გადამწყვეტ როლს საწარმოს მუშაობის ეფექტიანობის, მთელი კოლექტივის სამეურნეო აქტივობის ამაღლების საქმეში ასრულებდა და ასრულებს კარგად ორგანიზებული სოციალისტური შეჯიბრება. სოციალისტური შეჯიბრების ქმედითობისათვის აქ ბევრი რამ კეთდება. ცხოვრებით შემოწმებული გზების გეგმაზომიერ გამოყენებასთან ერთად, სულ უფრო და გაბედულად იყენებენ ახალ ფორმებსა და მეთოდებს.

საწარმოში ბევრი რამ კეთდება სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრი ვალდებულებების თვითეულ მუშაკამდე დაყვანისათვის. ეს თვითეული მუშაკის მატერიალური და მორალური დაინტერესების ამაღლებასაც ნიშნავს.

სამეურნეო რეფორმამ კიდევ უფრო განმტკიცა მატერიალური და მორალური სტიმულირების ორგანული კავშირის ობიექტური საფუძველი, დაეზმარა ავტორიტეტებს ამის შეგნებაში, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია თვითეულის წვლილი საერთო საქმეში. მუშაკთა კეთილდღეობისათვის ზრუნვა არ ნიშნავს გათანაბრებას მატერიალური და მორალური სტიმულირების საქმეში, არ ნიშნავს „გულკეთილი ძია" იყო ყველა მუშაკისათვის მიუხედავად იმისა, თუ რა წვლილი შეაქვს მას წარმოების ეფექტიანობის ამაღლებაში. ამიტომ ქარხანაში პირველხარისხოვან მნიშვნელობას ანიჭებენ მუშაკის რწმენის განმტკიცებას, იმის შეგნებას, რომ კარგი შრომა და კოლექტივში ღირსეული ქცევა აღიარებული და დაფასებული იქნება, მუშაკს ავტორიტეტს მოუხვეჭს. ხოლო სამუშაოს გამცდენებსა და უქნარებს, ფრენიებსა და წუნისმკეთებლებს მაღლობას არავინ ეტყვის.

ქარხანაში ფართოდ გამოლილია სოციალისტური შეჯიბრება დეკეზით „ხუთწლედი — ვადამდე". ამ თაოსნობას პირველი გამოეხმაურა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, ავტომობილთა ამკრებსაგამომცდელო საამქროს ამწყობი ზეინკალი ბ. ვაშაძე. თავიანთ უბნებზე დიდ შრომითს წარმატებებს აღწევენ საიაპაღო-სატვიფრო საამქროს ზეინკალი, ლენინის ორდენოსანი ი. ჯოგამაძე, ძრავის საამქროს ხარატი დ. ახალდიანი, სარემონტო-მექანიკური საამქროს ღლარავი უ. ქარქაშაძე, ნოვატორები ო. გელაშვილი, ჯ. გუგავა, ო. მამასახლისი და სხვ.

ქარხანაში მოწინავე მუშაკის მორალური ავტორიტეტის ასამაღლებლად მრავალმხრივი ღონისძიებები ხორციელდება. ამის მიზანია საუკეთესო მაგალითებზე მუშაკთა აღზრდა. განა მანეთს ძალუძს შეცვალოს კეთილი, ადამიანური სიტყვა, მთელი კოლექტივის მადლობა, რომელშაც აღიარა შენი დამსახურება?

ბევრი რამ კარგი შეიძლება ითქვას ამ ღონისძიებებზე, რომლებიც ემსახურებიან მუშაკთა შემოქმედებითი ინიციატივის მხარდაჭერასა და გავრცელებას.

ყველა კარგად იცნობს საავტომობილო ქარხნის ამკრებმექანიკური საამქროს გამმართველს, სოციალისტური შრომის გმირს, რესპუბლიკის დამსახურებულ რაციონალიზატორ ი. ხაზარაძეს, რომლის ინიციატივით მთელ ჩვენს ქვეყანაში პირველად შეიქმნა კომუნისტური შრომის რაციონალიზატორთა და გამომგონებელთა კომპლექსური ბრიგადა.

ამას წინათ ი. ხაზარაძემ იკისრა ზეგეგმითი პროდუქციის გამოშვებით, წუნის მიზეზით გამოწვეული დანაკარგების შემცირებით, შრომის ნაყოფიერების ზრდითა და ენერგიკურ ხიახლეთა დანერგვით მომდინარე წელს დაზოგოს იმდენი თანხა, რამდენსაც შეადგენს მისი წლიური ხელფასი. ამ საინტერესო წამოწყების მხარი დაუჭირეს არა მარტო ცალკეულმა მოწინავეებმა, არამედ თოლმა საამქროებმაც.

მუშათა და მოსამსახურეთა სამეურნეო და პოლიტიკური აქტივობის ამაღლებისათვის დიდ მუშაობას ეწევა ქარხნის პარტიული ორგანიზაცია (კომიტეტის მდივანი გ. კუხალეიშვილი), რომელიც თავის ძირითად ამოცანად ისახავს კოლექტივის ძალები წარმართოს წარმოების ეფექტიანობის ამაღლებისაკენ, აამაღლოს მუშაკთა პასუხისმგებლობის გრძნობა. აღმზრდელობითს და პროპაგანდისტულ მუშაობაში აქტიურად მონაწილეობენ წარმოების მეთაურები, მთავარი სპეციალისტები, ლექტორთა და მომხსენებელთა დიდი რაზმი.

ამისათვის, რომ ვადამდე და წარმატებით შეასრულონ სახელმწიფო დავალებანი, ერთმანეთს ეჯიბრებიან ქუთაისის საავტომობილო ქარხნის, უურალის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი საავტომობილო ქარხნისა და დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის კოლექტივები.

ამას წინათ ქართველმა ავტომშენებლებმა მეცხრე ხუთწლედის მესამე, ვადამწყვეტ წელს ეკისრეს გადიდებული ვალდებულებანი, რომელთა შესაბამისად 1973 წლის სახელმწიფო გეგმა უნდა შესრულონ 25 დეკემბრისათვის, გეგმის გადამტებით გამოუშვან 1.500.000 მანეთის პროდუქცია და მოაზღვნონ მისი რეალიზაცია. პროდუქციის გამოშვების მთელი მატება უზრუნველყოფილი იქნება მხოლოდ შრომის ნაყოფიერების გადიდების ჯზით.

ამ ვალდებულებებში, როგორც სარკეში, მკაფიოდ ჩანს ავტომშენებელთა ტექნიკური და ეკონომიური შესაძლებლობანი, ქარხნის მრავალათასიანი კოლექტივის დიდი შრომითი და პოლიტიკური შეგარეობა ხუთწლედის საწარმოო გეგმებისა და ვალდებულებების შესრულებისათვის.

4.

საზოგადოების ინტერესებისათვის ყველაზე დიდი შედეგების მიღწევა რაც შეიძლება ნაკლები დანახარჯებით — ეს როგორია სამეურნეო მშენებლობის ახალგაზდილი ეტაპის უცილობელი კანონი. საავტომობილო ქარხანაში წარმოების ეფექტიანობის ამაღლების ყველა რეზერვი როდის ამოწურული. წარმოების როგორც რაოდენობრივი, ისე ხარისხობრივი ზრდის უმთავრესი რეზერვი მის შემდგომ ტექნიკურ სრულყოფაში უნდა ვეძებოთ. ეს პრობლემა განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს იმიტომაც, რომ ქარხნის ძირითადი ფონდების ასაკობრივი სტრუქტურა სახარბიელო როდია. აქ 10 წლამდე ხანდაზმულობისა მთელი ფონდების 47,3 პროცენტი, 10-დან 20 წლამდე — 21,3 პროცენტი, ხოლო 20 წლის ზევით 31,4 პროცენტი. საერთოდ კი მანქანათა და მოწყობილობათა თითქმის ნახევარი ვერ აკმაყოფილებს თანამედროვე მოთხოვნებს, განსაკუთრებით მოძველებულია ხისდამმუშავებელი, სამჭედლო-საწნეხი, ლითონსაჭრელი მოწყობილობა. უკანასკნელ ხანს მოდერნიზებული მოწყობილობა კი ჯერ არსებით გავლენას ვერ ახდენს მოქმედი მოწყობილობის საერთო ტექნიკურ დონეზე. საგულისხმოა ისიც, რომ ზოგიერთ საამქროში საწარმოო სიმძლავრეები 90 პროცენტითაც არ არის ათვისებული. საწარმოს ხელმძღვანელთა, საინჟინრო-ეკონომიური სამსახურის მუშაკთა პირდაპირი მოვალეობაა ყოველდღიურად იზრუნონ საწარმოს სიმძლავრეთა უკეთ გამოყენებისათვის, შეამცირონ შედეგიანი მოცდენები.

წარმოების ტექნიკური და ტექნოლოგიური სრულყოფის დასაჩქარებლად 1973-1975 წლებში ქარხანას 4 მილიონამდე მანეთი აქვს გამოყოფილი. საწარმოს სრული რეკონსტრუქცია გათვალისწინებულია 1978 წელს დამთავრდეს. ამისათვის კი საჭიროა აღარ გაჭიანურდეს რეკონსტრუქციის დაგეგმილი ღონისძიებანი, რისთვისაც ზემოდგომი ორგანოებან კიდევ მეტი ფინანსური დახმარებაა საჭირო.

მიუხედავად გატარებული ღონისძიებებისა, ქარხანაში ჯერ კიდევ არის უხარისხო პროდუქციის გამოშვების ტენდენციები. ბოლო წელს უხარისხო პროდუქციის გამო ქარხანამ 38 რეკლამაცია მიიღო. მართალია, წუნით გამოწვეული ზარალი წინა წლებთან შედარებით საგრძნობლად შემცირდა, მაგრამ იგი მაინც მნიშვნელოვან ზიანს აყენებს ქარხნის სიერთო ეფექტიანობის შემდგომი ამაღლების საქმეს. **წუნით გამოწვეული დანაკარგები გასულ წელს 504 ათას მანეთს შეადგენდა, არამწარმოებლურმა ხარჯებმა კი 300 ათას მანეთს მიაღწია, პროდუქციის თავის დროზე მიუწოდებლობისა და ტარის დაგვიანებით დაბრუნების გამო აქ შარშან ჯარიმის სახით 69 ათასი მანეთი გადაიხადეს, გაიზარდა დებიტორული და კრედიტორული დავალიანებაც. უკანასკნელი წლების მანძილზე თუმცა სამჯერ შემცირდა უმიზეზოდ გაცდენის გამო სამუშაო დროის დანაკარგები, მაგრამ ამლაც საკმაოდ დიდია.**

მართალია, დიდი ყურადღება ეთმობა სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებული უბნების, ბრიგადების, მუშაკების მატერიალურ და მორალურ წახალისებას, მაგრამ ზოგჯერ საამქროებში არ ლაპარაკობენ ჩამორჩენილებზე, შეჯიბრებაში დამარცხებულებზე, საკმაო ანალიზს არ უკეთებენ ჩამორჩენის მიზეზებს.

ზოგიერთ უბანზე შეჯიბრება ჯერ კიდევ ფორმალურ ხასიათს ატარებს, კისრულობენ ვალდებულებებს, მაგრამ მთელი შესაძლებლობანი არ ებრძვიან მათი შესრულებისათვის. ვალდებულებათა შესრულების კონტროლი კი ყოველთვის არ არის სათანადო სიმაღლეზე. ზოგიერთ საამქროში იშვიათად ისმენენ მუშაკის თვითანგარიშს და ა. შ.

ჩვენი აზრით, ერთ-ერთი რთული პრობლემა საავტომობილო ქარხნისათვის, რომელშიც დიდად არის დამოკიდებული საწარმოს მომავალი წარმატებები, კადრების დენადობის შემცირების საკითხია. მართალია, იმ მუშაკთა ხვედრითი წონა, რომლებიც 10 წელზე მეტია ქარხანაში მუშაობენ, 40 პროცენტს შეადგენს, მაგრამ ყოველწლიურად აქ ყოველი მეოთხე მუშაკი სამუშაოს იცვლის. ამ მხრივ სამეურნეო რეფორმის წინა და მომდევნო წლები საოცრად ჰგვანან ერთმანეთს. მაგალითად, 1968 წელს საწარმოში სამუშაოდ მიიღეს 2285 კაცი, სამუშაოდან წავიდა 2205, შარშან სამუშაოზე მიიღეს 2135 კაცი, სამუშაოდან წავიდა 2215. ამას გარდა შარშან საამქროდან საამქროში 635 კაცი გადავიდა.

რა განაპირობებს კადრების ასეთ მაღალ დენადობას? სოციოლოგიური გამოკვლევების მონაცემები გვიჩვენებენ, რომ საწარმოს მუშაკების აზრით კადრების დენადობის ძირითადი მიზეზია არადამაკმაყოფილებელი სამანეთო პირობები (გამოკითხულთა 62,1 პროცენტის აზრი), შემდეგ ასახელებენ ცუდ სამუშაო პირობებს, ხელფასს, კვალიფიკაციის ამაღლებისა და დაწინაურების არასაკმარისობებს და სხვ.

საგულისხმოა, რომ ქარხნიდან წასული მუშაკების თითქმის ნახევარს მართლაც არ ეანიჭება საცხოვრებელი ბინა. არანაკლებ მნიშვნელოვანი მომენტი ისა, რომ კადრების ყველაზე მაღალი დენადობა ამ კატეგორიის მუშაკებში, რომლებსაც 1-დან 3 წლამდე მუშაობის სტაჟი აქვთ.

ქარხანაში კვლავ ბევრია უბინაო. **რა პერსპექტივა, რა შესაძლებლობები აქვს საწარმოს ამ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად? უნდა თქვას, რომ მდგომარეობა ამჟამად მართლაც მკვეთრად უმჯობესდება. თუ მომდინარე ხუთწლედის პირველი ორი წლის მანძილზე ქარხნის მუშაკებს გამოეყოთ 6139 კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი, უკვე ამჟამად ხაექსპლოატაციოდ გადასაცემად მზად არის 9-სართულიანი საცხოვრებელი სახლი (8340 კვ. მ.), რომელიც საწარმოს 320 ოჯახს დაკმაყოფილებს.** გარდა ამისა, წლის ბოლოსათვის საექსპლოატაციოდ გადაეცემა 90-ბინიანი სახლი, რაც მნიშვნელოვნად გაუმჯობესებს საწარმოს მუშაკთა საცხოვრებელ პირობებს.

კადრების დენადობის შემცირების უფრო მეტად უნდა შეუწყოს ხელი მშრომელთა მიღებაზე დაბარების კომისიებმა, რომელიც შექმნილია როგორც საქართველო მასშტაბით, ისე განყოფილებების მიხედვით. ამ კომისიების როლზე მიუთითებს თუნდაც ის ფაქტი, რომ გასულ წელს მიღება-დათხოვნის კომისიაში განცხადებით მისულთაგან ქარხნიდან წასვლაზე უარი თქვა 250-ზე მეტმა მუშაკმა.

ორსებითი გაკეთება უნდა მოახდინოს მუშაკთა დაბარებაზე კოლექტივის სოციალური განვითარების გეგმით დასახულ ღონისძიებათა თანმიმდევრულმა განხორციელებამ. კერძოდ, ამ გეგმის შესაბამისად მიმდინარე ხუთწლედის დარჩენილ წლებში ნაგარაუდევია ხელით შრომისა და ძმიმე ფიზიკური შრომის ხვედრითი წონის მკვეთრი შემცირება; საგრძნობლად მაღლდება მაღალკვალიფიციური და კვალიფიციური მუშაკების ხვედრი წონა. დაგეგმილია მუშაკთა მატერიალური წახალისების ფონდ

ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ ᲓᲦᲔ

ᲘᲐᲞᲝᲜᲘᲐ-ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲝᲑᲘᲡ ᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

ᲢᲝᲙᲘᲝ. 9 ᲛᲐᲠᲢᲘ. (ᲗᲐᲡᲙᲔᲡᲘ). იაპონური გაზეთები დღის პირველ გვერდზე ბეჭდავენ ცნობებს იმის შესახებ, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ლ. ი. ბრეჟნევმა მიიღო იაპონიის ელჩი სსრ კავშირში ჯ. ნიოძეკი, ხაზს უსვამენ, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა პირველად მიიღო იაპონიის მთავრობის ოფიციალური წარმომადგენელი.

„ის ფაქტი, — წერს „მაინიჩი“, რომ ელჩმა ნიოძეკმა პირადად გადასცა იაპონიის პრემიერ-მინისტრის, ლიბერალურ-დემოკრატიული პარტიის პრეზიდენტის ჯ. ტანაკას წერილი სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს, — დიდი მოვლენაა, და იაპონიის საგარეო საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელობა დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ამას“.

ლ. ი. ბრეჟნევის მიერ იაპონელი ელჩის მიღება, წერს „ტოკიო სიმბუნი“, აქ მიიჩნიათ „იმის გამოვლენებად, რომ საბჭოთა კავშირი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს იაპონიას“.

პრესა აღნიშნავს „იაპონელი პრემიერის წერილის მეგობრულ სულისკვეთებას“. „ამ წერილს გაგზავნით, — აცხადებს გაზეთი „იომიური“, — პრემიერ-მინისტრმა გამოამჟღავნა მისწრაფება იაპონია-საბჭოთა კავშირს ურთიერთობის გაუმჯობესებისადმი“. გაზეთის აზრით, „იაპონიის მთავრობა ისწრაფვის შექმნას ორ ქვეყანას შორის მეგობრობის ატმოსფერო.

გაზეთი „ტოკიო სიმბუნი“ აღნიშნავს, „როგორც ჩანს, ეს წერილი რომ გაგზავნა, პრემიერ-მინისტრი ტანაკა მივიდა დასკვნამდე, რომ დადგა იაპონია-საბჭოთა კავშირის ურთიერთობის გაუმჯობესების მომენტი“. თავის მხრივ „გეზეტიანი“ გაზეთი „ასახი“ წერს, რომ „იაპონიის მთავრობამ ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საგარეოპოლიტიკურ ამოცანად დასახა მეგობრული ურთიერთობის განმტკიცება საბჭოთა კავშირთან“.

ამ კურსის ერთ-ერთ გამოვლენებად გაზეთს მიაჩნია საგარეო საქმეთა მინისტრის მ. ოხირის განცხადება იაპონია-საბჭოთა კავშირის თანამშრომლობის განვითარების საჭიროების შესახებ. „შეიძლება ითქვას, — წერს „ასახი“, — რომ პრემიერ-მინისტრის ტანაკას ახლანდელი წერილი ამ ხაზის გაგრძელებაა“.

გაზეთი „იომიური“ წერს, რომ იაპონიის მთავრობის წრეებში უკვე დიდი ხანია ბატონობდა აზრი, რომ საჭირო იყო კონკრეტულ ღონისძიებათა განხორციელება იაპონია-საბჭოთა კავშირის ურთიერთობის შემდგომი განვითარებისათვის. „პრემიერ-მინისტრი ტანაკა, — აცხადებს გაზეთი „სანეი სიმბუნი“, — ამირებს მუდმივი დიალოგი ჰქონდეს საბჭოთა ხელმძღვანელებთან“.

ᲨᲔᲘᲥᲛᲜᲐ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲡᲘᲐ

ᲯᲐᲜᲝᲜᲘ, 9 ᲛᲐᲠᲢᲘ. (ᲗᲐᲡᲙᲔᲡᲘ). დღეს ჰანოიში გამოქვეყნდა კომუნიკე გაერთიანებული ეკონომიური კომისიის შექმნის შესახებ, რომელშიც შედიან ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკისა და შეერთებული შტატების წარმომადგენლები.

კომისიის პირველი სხდომა გაიმართება 15 მარტს პარიზში.

რ. ᲜᲘᲥᲡᲝᲜᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲕᲐ ᲙᲝᲜᲒᲠᲔᲡᲘᲡᲐᲓᲛᲘ

ᲕᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜᲘ. 9 ᲛᲐᲠᲢᲘ, (ᲗᲐᲡᲙᲔᲡᲘ). ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ ᲨᲔᲠᲗᲘᲡᲔᲑᲣᲚᲘ ᲨᲢᲐᲢᲔᲑᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲛᲐ რ. ᲜᲘᲥᲡᲝᲜᲛᲐ ᲙᲝᲜᲒᲠᲔᲡᲘᲡᲐᲓᲛᲘ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲕᲐ ᲕᲐᲠᲘᲚᲘᲗ ᲙᲐᲚᲐᲥᲔᲑᲘᲡ ᲛᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ.

პრეზიდენტმა აღიარა, რომ შეერთებული შტატების წინაშე ბევრი გადაუჭრელი ამოცანა დგას ქალაქების განვითარების დარგში. არც თუ ისე დიდი ხნის წინათ, თქვა მან, ამერიკაში ლაპარაკობდნენ „ქალაქების კრიზისზე“. წამოიჭრა იმდენი პრობლემა, რომ ზოგიერთი მიმოხილველი წერდა ამერიკის ქალაქების განწირულების შესახებ. „ბევრი ამ პრობლემათაგანი დღემდე არსებობს“, — აღნიშნა პრეზიდენტმა.

ნიქსონმა თქვა, რომ ფედერალური მთავრობის ბევრი ღონისძიება ქალაქებისათვის დახმარების გაწევის დარგში არ აღმოჩნდა ეფექტიანი. „არის ძალიან ბევრი პროგრამა, რომლებიც აძლიერებენ ბიუროკრატიზმს ვაშინგტონში და ასუსტებენ ჩვენს მთავრობას და ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებს“, — განაცხადა პრეზიდენტმა.

აღნიშნა რა, რომ „დადგა დრო ვაღიაროთ შეცდომები“, რომლებიც დაშვებული იყო ფედერალური მთავრობის უწინდელ ღონისძიებებში, ნიქსონმა თქვა, რომ ამ შეცდომების გამო, კერძოდ, „ჩვენს ხალხს აღარ სჯერა, რომ როგორც ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოები, ისე ეროვნული მთავრობა შეძლებენ გადაჭრას ამერიკის ქალაქების პრობლემები“.

როგორც პრეზიდენტის განცხადებიდან ჩანს, შექმნილი მდგომარეობის გაუმჯობესების ცდაში მთავრობა დიდ იმედს ამყარებს „შემოსავლის ხელახალი განაწილების პროგრამაზე“, რომელსაც უახლოეს მომავალში წარუდგენენ კონგრესს განსახილველად.

ეს პროგრამა, რომელიც, ნიქსონის თქმით, მოქმედების დიდ თავისუფლებას მისცემს ადგილობრივ ხელისუფლებს, ხინამდვილეში ნიშნავს ქალაქთა განვითარების საჭიროებისათვის სახსრების შემცირებას. იგი მკვეთრად გააკრიტიკა ამერიკის ქალაქების ბევრმა მერმა, რომლებიც ხაზს უსვამდნენ, რომ მისი მიღების შემთხვევაში ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებს, რომლებიც ისედაც სახსრების მუდმივ ნაკლებობას განიცდიან, დააწვებათ ძირითადი ფინანსური სიმძიმე ქალაქების მწვავე პრობლემათა გადაჭრის საქმეში.

ნიქსონმა განაცხადა, რომ წელს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საშინაო ამოცანა იქნება საბინაო მშენებლობის პოლიტიკის შემუშავება. პრეზიდენტმა აღნიშნა, ზოგიერთი საბინაო პროგრამის „ძირეული დეფექტები“ და თქვა, რომ ხშირად ისინი ვერ უწევდნენ დახმარებას იმათ, ვინაც ეს დახმარება ესაჭიროებოდა.

ᲐᲢᲝᲛᲣᲠᲘ ᲐᲤᲔᲗᲥᲔᲑᲐ

ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ. 9 ᲛᲐᲠᲢᲘ. (ᲗᲐᲡᲙᲔᲡᲘ). შეერთებულმა შტატებმა ხუთშაბათს მოაწყვეს მორიგი მიწისქვეშა ატომური ნეკადის შტატის საცდელ პოლიგონზე. ეს განაცხადა ამერიკის შეერთებული შტატების ატომური ენერგიის კომისიის წარმომადგენელმა.

სპეციალისტთა შეფასებით წელს გამოცხადებული პირველი ატომური აფეთქების ხიმძლავრე მერყეობს 20-დან 200 კილოტონამდე.

ᲨᲔᲢᲙᲘᲚᲔᲑᲐ ᲭᲐᲠᲨᲘ

ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ. 9 ᲛᲐᲠᲢᲘ. (ᲗᲐᲡᲙᲔᲡᲘ). კალიფორნიაში ჯეუფური საწვრთნელი ფრენის დროს ჰაერში ერთმანეთს შეეჯახა ელ-სენტროს საცდელი პოლიგონის სამი „ფ-4“ რეაქტიული ავიაგამანადგურებელი. ეს უკვე მესამე კატასტროფა გუშინდელი დღის მანძილზე.

როგორც უკვე ეუწყებოდით, ამ დღეს ჩამოვარდა და დაიმსხვრა სამხედრო სატრანსპორტო თვითმფრინავი „ს-47“ ჭალაქ საალერხიტის რაიონში (ჩრდილოეთ კაროლინის შტატი). თვითმფრინავში იყო სამხედრო პარაშუტისტთა რაზმი, რომლებიც მიემგზავრებოდნენ კანზასში სანვენებელ გამოსვლებზე. მგზავრები და გკიპაკი დაიღუპნენ.

იმავე დღეს ორი ამერიკელი სამხედრო მოსამსახურე დაიღუპა და ერთი მძიმედ დაშავდა გამწყობი თვითმფრინავების შეტაკების შედეგად ლოკბორნის სამხედრო-საჰაერო ბაზაში (ოჰაიოს შტატი).

ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ ᲨᲔᲠᲗᲘᲡᲔᲑᲣᲚ ᲨᲢᲐᲢᲔᲑᲨᲘ ᲐᲠ ᲬᲧᲓᲔᲑᲐ ᲡᲠᲓᲘᲔᲚᲗᲐ ᲒᲐᲛᲝᲩᲜᲘᲡᲕᲚᲔᲑᲘ ᲗᲐᲕᲘᲡᲘᲐᲜᲗᲘ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲣᲠᲘ ᲓᲐ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲣᲤᲚᲔᲑᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ. ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲧᲝᲕᲔᲚᲗᲕᲘᲡ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲤᲘᲖᲘᲙᲣᲠᲘ ᲞᲘᲠᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲔᲑᲚᲘ ᲛᲘᲡᲘ ᲒᲐᲛᲝᲧᲔᲜᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲜᲘᲠᲗᲕᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ. ᲐᲛᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ ᲐᲠᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲖᲘᲜᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲡᲘ ᲒᲐᲜᲘᲠᲗᲕᲐ ᲓᲐ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲡᲘ ᲒᲐᲜᲘᲠᲗᲕᲐ.

ᲛᲔᲢᲠᲝᲚᲝᲒᲘᲐ

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲔᲢᲠᲝᲚᲝᲒᲗᲐ ᲙᲝᲚᲔᲒᲘᲣᲠᲘ ᲐᲡᲝᲪᲘᲐᲪᲘᲐ ᲣᲪᲮᲐᲓᲐᲡ ᲛᲝᲡᲐᲛᲖᲐᲓᲔᲑᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲡ ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲘ

ᲓᲐᲙᲐ, 8 ᲛᲐᲠᲢᲘ. (ᲗᲐᲡᲙᲔᲡᲘ). დამთავრდა ბანგლადეშის ეროვნული ასამბლეის (პარლამენტი) არჩევნები — პირველი არჩევნები ინდოეთგაზრდა რესპუბლიკის ისტორიაში. ამ არჩევნებში ქენჭი იყარა ქვეყნის 16 პოლიტიკური პარტიის დაახლოებით 1.100 წარმომადგენელმა და დამოუკიდებელმა კანდიდატებმა. გამარჯვებული პარტია შექმნის ბანგლადეშის მთავრობას მომდევნო ხუთი წლისათვის.

დღის ოთხი საათისათვის, როცა შეწყდა საარჩევნო უბნებში შესვლა, ხმა მისცა რესპუბლიკის ამომრჩეველთა 35 მილიონიდან მნიშვნელოვანმა უმრავლესობამ.

ცნობილია ქვეყნის 14 საარჩევნო ოლქში ხმის მიცემის წინასწარი შედეგები. წინ არის სახალხო ლიგის მმართველი პარტია, რომელმაც 25.873 ხმა მიიღო. ანალიზებს რა ხმის მიცემის პირველ შედეგებს, ენას საააგენტო ხაზგასმით აღნიშნავს, რომ „მთლიანად წარმატება, უეჭველად, სახალხო ლიგის მხარეზე იქნება“.

ეროვნული ასამბლეის 300 დეპუტატის სახელი ოფიციალურად გამოცხადდება 9 მარტს.

ᲓᲐᲙᲐ, 9 ᲛᲐᲠᲢᲘ. (ᲗᲐᲡᲙᲔᲡᲘ). ბანგლადეშის სახალხო რესპუბლიკის მმართველმა პარტიამ — სახალხო ლიგამ დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვა ეროვნული ასამბლეის (პარლამენტის) პირველი საყოველთაო არჩევნების მსვლელობაში. ქენჭისყრის საბოლოო შედეგების მიხედვით, რომელიც აქ გუშინ გამოცხადდა, სახალხო ლიგის კანდიდატებმა მიიღეს სულ 291 დეპუტატის მანდატი სამასიდან.

ბანგლადეშის მთავრობის 22-იე მინისტრმა, რომლებმაც ქენჭი იყარეს არჩევნებში, გამარჯვება მოიპოვეს დიდი უპირატესობით.

ᲛᲔᲢᲠᲝᲚᲝᲒᲘᲐ

X. ᲚᲘᲜᲓᲡᲔᲘᲡ ᲡᲐᲯᲐᲠᲝ ᲒᲐᲦᲬᲧᲕᲔᲢᲘᲚᲔᲑᲐ

ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ. 9 ᲛᲐᲠᲢᲘ (ᲗᲐᲡᲙᲔᲡᲘ). ნიუ-იორკის მერმა ჯონ ლინდსეიმ ოფიციალურად გამოაცხადა, რომ არ დასახელებს თავის კანდიდატურას მერის პოსტზე მესამე ვადით მომავალ არჩევნებში, რომელიც მომდინარე წლის ნოემბერში გაიმართება.

გამოაცხადა რა ეს, მან ხაზი გაუსვა რომ ეს გადაწყვეტილება „საბოლოოა“.

ლინდსეი ნიუ-იორკის მერად პირველად აირჩიეს როგორც რესპუბლიკური პარტიის კანდიდატი 1965 წელს. შარშან იგი გადავიდა დემოკრატიულ პარტიაში და მოხანგლეობა მიიღო წინასაარჩევნო კამპანიაში. როგორც ერთ-ერთმა პრეტენდენტმა ამ პარტიისაგან პრეზიდენტის პოსტზე მისი კანდიდატურის დასასახელებლად.

ᲚᲘᲒᲐᲜᲘᲡ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ ᲒᲐᲛᲝᲒᲒᲣᲚᲘ ᲙᲔᲙᲘᲜᲘᲡ ᲥᲜᲘᲡᲐᲒᲕᲝᲣᲠᲝᲒᲐᲡ

ᲑᲔᲘᲠᲣᲗᲘ. 9 ᲛᲐᲠᲢᲘ. (ᲗᲐᲡᲙᲔᲡᲘ). ლიბანის გაზეთი „ან-ნიდა“ მწვავედ აკრიტიკებს პეკინის საგარეო პოლიტიკის მიზნებს და იმსჯელს მის ანტისაბჭოური ზრახვებს.

ეხება რა პეკინის ხელმძღვანელობა ანტისაბჭოურ დემონსტრაციებს, რომლებიც ასეთი ხალისით გაიარეცილა ქაიროს ჯიზეთ „ალ-ა ჰრამის“ მთავარმა რედაქტორმა მ. ჰეიკალმა ჩინეთში მისი ვიზიტის შემდეგ, „ან-ნიდა“ წერს: „პეკინის საგარეო პოლიტიკა მოწმობს მის დაახლოებას ამერიკის იმპერიალისტურ პოლიტიკასთან. თვი ზიანს აყენებს ნამდვილი მარქსიზმის პრინციპებს, მსოფლიოს ყველა კომუნისტურ პარტიას, მათ შორის საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას“.

გაზეთი შემდეგ კითხულობს: „აბა ვინ დაიჯერებს პეკინის უბადლებელ მტკიცებებს, თითქოს საბჭოთა კავშირი „არ ეხმარებოდა“ ხალხებს, მათ შორის ჩინელ ხალხს, ბრძოლაში „ანტიიმპერიალისტურ ბრძოლაში“.

„არაბული ქვეყნების გამოცდილება, — ბოლოსაკენ აღნიშნავს „ან-ნიდა“, — თვალსაჩინოდ მოწმობს ჩინეთის მსგავს განცხადებათა სიყალბეს. უანგარო დახმარება, ურთიერთსარგებლიანობა და შუდმივი მხარდაჭერა განთავისუფლებული ქვეყნების განვითარებაში, — აი რა უდევს საფუძვლად საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკას. რა გააკეთეს ამ დარგში თვით ჩინელებმა?“.

ᲞᲠᲝᲢᲔᲡᲢᲘᲡ ᲜᲘᲨᲜᲐᲓ

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ. 9 ᲛᲐᲠᲢᲘ. (ᲗᲐᲡᲙᲔᲡᲘ). ლონდონის ერთ-ერთ ქუჩაზე ხალხმრავალ გზაჯვარედინზე ჯოის მეკინგმა სახლის კედელზე თავი მიეჯაჭვა.

ამ ხანში შესულმა ქალმა, რომელმაც დიდი შრომითი ცხოვრების გზა განვლო, გადაწყვიტა ასეთნაირად მიეპყრო ყურადღება თავისი საკანონო მოთხოვნილებისადმი. ამას წინათ მეკინგების ოჯახი ქუჩაში გამოყარეს ბინიდან ქირის გადახდა.

დღევანდელ ინგლისში მეკინგების ოჯახის ტრაგედიამ განაკვლისი რიდია. მარტო ოფიციალური მონაცემებით, სამ მილიონზე მეტი ინგლისელი ცხოვრობს ჯურღმულებში ან საერთოდ თავშესაფარი არა აქვს.

„ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘᲡ“ ᲙᲠᲘᲢᲘᲙᲣᲚᲘ ᲒᲐᲛᲝᲪᲒᲚᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ

ᲚᲛᲝᲒᲘᲔᲠᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲓᲐᲜᲐᲨᲐᲣᲚᲘ

ᲑᲚᲘᲖᲝᲜᲘ სათაურით „კომუნისტის“ 4 თებერვლის ნომერში დაიბეჭდა კრიტიკული წერილი. ამასთან დაკავშირებით პარტიის ლუშმეთის რაიკომის პირველი მდივანი ა. შადრი გვატყობინებს:

წერილში აღნიშნული იყო, რომ კოლმეურნეობაში ცუდად არის დაყენებული სახელმწიფო და შრომის დისციპლინა. კოლმეურნეობამ 1972 წელს წინა წელთან შედარებით 968 ცენტნერით ნაკლები რძე აწარმოვა, დარღვეულია შრომის დამატებითი ანაზღაურების გაცემის წესი, ფერმებში არ არის გაშლილი სოციალისტური შეჯიბრება და სხვა. მხილებულ დარღვევათა ფაქტები შემოწმებით დადასტურდა.

შემოწმების მასალები მიმდინარე წლის 10 თებერვალს განიხილა მაზალეთის კოლმეურნეობის რწმენებულთა კრებამ. აღნიშნული და სხვა დარღვევებისათვის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ზ. ჭადაგიშვილი კრებამ გაათავისუფლა თანამდებობიდან. კოლმეურნეობაში საკონტროლო-სარევიზიო სამუშაოების სუსტად წარმართვისათვის მოლიანდ შეიცვალა სარევიზიო კომისიის შემადგენლობა.

გაზეთ „ბოლშევიკის“ 1973 წლის 28 თებერვლის ნომერში დაბეჭდილი იყო წერილი „დაპირებას არ ეღირებოდა“, რომელშიც მხილებული იყო მუჰადიჯრის, მთიულეთის კოლმეურნეობისა და ანანურის მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობაში პირუტყვის გამოზამთრებაში არსებული ნაკლოვანებანი. „შემოწმებით აღნიშნული ფაქტები დადასტურდა.

რაიკომის მბიურომ მუჰადიჯრის კოლმეურნეობის პარტიული კომიტეტის მდივანს ვ. ხერკელაძეს გამოუცხადა სასტიკი საყვედური, ხოლო რაიკომის რჩევით კოლმეურნეობის რწმუნებულთა კრებამ კოლმეურნეობის თავმჯდომარე ტ. ფოფოლაშვილი გაათავისუფლა თანამდებობიდან. პარტიული სახჯელი დაედოთ ანანურის მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობის დირექტორს ა. გოგოსს და მეურნეობის მთავარ ზოოტექნიკოსს შ. ცქიტიშვილს, ხოლო მთიულეთის კოლმეურნეობაში არსებული ნაკლოვანებანი აშკარად გამოსწორებულია.

ᲡᲐᲡᲐᲣᲖᲛᲔ — ᲣᲜᲧᲚᲝᲓ, ᲡᲐᲪᲮᲝᲒᲘ — ᲣᲐᲣᲠᲝᲓ...

ᲐᲛ ᲡᲐᲗᲐᲣᲠᲘᲗ „კომუნისტში“ დაიბეჭდა რეიდის მონაწილეთა წერილი, რომელშიც მხილებული იყო ლენინგორის საზოგადოებრივი კვების ობიექტებში და სავაჭრო ორგანიზაციებში არსებული ნაკლოვანებანი.

ამასთან დაკავშირებით პარტიის ლენინგორის რაიკომის პირველმა მდივანმა ა. მარგიევმა რედაქციას აცნობა, რომ წერილში აღნიშნული ნაკლოვანებანი სინამდვილეს შეეფერება.

რაიონის სავაჭრო ქსელში არსებული ნაკლოვანებებისათვის რაიკომერაციის გამგეობის თავმჯდომარეს შ. ჭელაშვილს და ვაჭრობის განყოფილების გამგეს ვ. ილურიძეს გამოეცხადათ საყვედური, ხოლო რაიკომერაციის პირველადი პარტიული ორგანიზაციის მდივანს თ. ხუბაევს მეითითა, ვაჭრობის წესების დამახინჯებისათვის ლარგვისის სახაუზმის გამგე შ. ხუროშვილი განთავისუფლებულია ხამუშაოდან.

ᲝᲛᲘ—ᲡᲘᲧᲕᲐᲚᲑᲔᲡ!

ᲣᲡᲐᲤᲣᲫᲕᲚᲝᲓ ᲒᲐᲪᲔᲛᲣᲚᲘ ᲚᲘᲛᲘᲢᲘ ᲓᲐ ᲪᲠᲣ ᲓᲔᲙᲣᲢᲐᲢᲘ

უკვე რამდენიმე თვეა, რაც დამთავრდა მისადები გამოცდები თბილისის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის მოსამზადებელ განყოფილებაზე. მსმენელებს პროგრამის ნაწილი უკვე გავლილი აქვთ, საკონტროლო წერებიც უკვე ჰქონდათ. ერთი სიტყვით, სწავლა ნორმალურად მიმდინარეობს, მაგრამ მიუხედავად დროის ამ საკმაო ვრცელი მონაკვეთისა თანდათანობით მეღავნდება ზოგიერთი პიროვნების ვინაობა, ვინც არასწორი გზით, ყალბი ცნობებით და საბუთებით ჩაირიცხა აღნიშნულ განყოფილებაზე.

ჯერ კიდევ დამთავრებული არა ჰქონდა მარინე მიქაუტაძეს ამბროლაურის საშუალო სკოლა, როდესაც მამამისი, რაიონის პროკურორი ი. მიქაუტაძე პოლიკლინიკის მთავარ ექიმს დ. კვახაძეს ეწვია და სთხოვა:

— თუ ძმა ხარ, ჩემი გოგონა გამოფორმე სანიტრად. ხელფასს არ ვიღებ, ისე ფორმალურად იყოს, სტაჟისთვის მჭირდება.

— კი, შენი ვირიმე, — კვერი დაუკრა პოლიკლინიკის მთავარმა ექიმმა და მაშინვე საშტატო ერთეულები გადაქექა.

მ. მიქაუტაძის მიერ სკოლის დამთავრებას არავინ არ ელოდებოდა, რაიპოლიკლინიკის შტატი უკვე დაკომპლექტებული იყო. მაგრამ დიდი ხნის ფიქრის შემდეგ მთავარმა ექიმმა მიზანში მოსცა სანიტარი ქალი ა. ჯაფარიძე ამოიღო.

— ანიკო ბებია, — უთხრა მთავარმა ექიმმა სანიტარს, — შენი განაკვეთის ნახევარი მიქაუტაძეს უნდა მივეცეთ.

— რას მერჩით, შვილო! — შეშინდა ა. ჯაფარიძე, მაგრამ როდესაც აუხსნეს, რომ საშტატო ერთეულსღა უყოფდნენ, თორემ ფულს მაინც იმდენს აიღებდა, რასაც იღებდა, ისიც დათანხმდა, თუმცა ამის შესახებ ოფიციალური განცხადება არ დაუწერია.

დაიწერა ბრძანება. დატრიალდა ყალბი სტაჟის გამოსამუშავებელი მანქანა. გადიოდა თვეები, იწერებოდა ერთ განაკვეთზე ორი ხელფასი. მიდიოდა მოსუცი ჯაფარიძე მოლარესთან და ორიგინე თავისი ხელმოწერით თვითონ იღებდა. უკვირდა კი მას ყოველთვის, ამ ჩემს განაკვეთზე რა ფოკუსებს აკეთებენო, მაგრამ აბა რას მიხვდებოდა, სანამ ორი წლის შემდეგ რესპუბლიკის სახალხო კონტროლის წარმომადგენელ ა. გუდაძესთან ერთად არ ვთსოვეთ ახსნა-განმარტება დაეწერა ამ საკითხზე.

„ჩვენს პოლიკლინიკაში ვმუშაობ დიდი ხანია. მუდამ მქონდა სრული განაკვეთი, 1970 წლის სექტემბერში ჩემი განაკვეთის ნახევარი მისცეს მარინე იანკოს ასულ მიქაუტაძეს. ხელფასი იწერებოდა, 30-30 მანეთი ჩემზე და მარინეზე. ხელფასს ვიღებდი მე. უწყისში მარინეს ნაცვლად ხელს ვაწერდი მე“...

1971 წლის სექტემბერში მარინე მიქაუტაძე მუშაობას იწყებს საკონსერვო ქარხანაში. რაიონის პოლიკლინიკასთან შედარებით აქ საბუთებს გაფორმება მეტი გულმოდგინეობით დაიწყეს. მაგრამ, რომ იტყვიან, შუბი ხალთაში არ დიმალებაო, ისევ. 1972 წლის მაისში სხვა სამუშაოებს გარდა მ. მიქაუტაძემ ნ. თომაძისთან ერთად (რომელსაც მსგავსად უფორმდებოდა საწარმოო ხტაჟი) 60 ხატვირთო მანქანაზე დატვირთა და გადმოტვირთა ცარიელი კასრები. ეს მაშინ, როდესაც მანქანების დატვირთვა ტყიფულში ხდებოდა და მ. მიქაუტაძე და ნ. თომაძე ფიზიკურად იქ არ იმყოფებოდნენ.

ივნისსა და ივლისში, როდესაც ქარხანაში მწვავე სეზონია, მ. მიქაუტაძის. არსებობა არა ჩანს. იგი შეტანილი არ არის ხელრთო სატაბელო უწყისებში, არა აქვს გამომუშავება და არც ხელფასი აქვს დარიცხული. ოდიდასუთი ივლისიდან აგვისტოს ჩათვლით მასზე დაწერილია ბრძანება შვებულების შესახებ, ხაუდალტრო ანგარიშებში კი შვებულება გაფორმებული არ არის. შვებულების ფული მხოლოდ 1973 წლის იანვარში აიღო მარინეს ბიძამ.

მ. მიქაუტაძეს უხელფასოდ შრომა და გარჯა უყვარდაო, ამაში ვერავინ დავგარწმუნებს, მაგრამ საკითხავია სულ სხვა, სად იყო მარინე მაშინ, როდესაც ფაბრიკაში ყელამდე სამუშაო დგაროდა და მოზღვავებულ ხილს მცირე მუშახელით ვერ აუდიოდნენ. გამორიცხულია ის, რომ ზედიზედ სამი თვის განმავლობაში გამორჩენოდათ მისი ხელფასის დარიცხვა და ტაბელში გატარება. რა თქმა უნდა, მარინეს ამ დროს ქარხნისთვის არ ეცალა, თბილისში ემზადებოდა და გამოცდებს აბარებდა. წარუმატებელი ცდის შემდეგ იგი კვლავ ქარხანას დაუბრუნდა, მაგრამ სტაჟში მთელი ორი თვის ბზარი გაჩნდა.

— ფიქრი ნუ გაქვთ, ამას გავაკეთებთ, — დაპირდნენ მარინეს საკონსერვო ქარხანაში და სექტემბრის ხელფასის დარიცხვის უწყისებში სახელფასელოდ ჩაკრეს მ. მიქაუტაძის ვითომდა ივნის-ივლისში ნამუშევარი. თუ ამ დავგიანებულ უწყისებს დაკუჯერებთ, მ. მიქაუტაძემ ორი თვის განმავლობაში ივნისში და ივლისში დატვირთა მზა პროდუქციით 16 მანქანა და ორჯერ გამოასუფთავა საწყობი. ამ საუმუშაოსათვის მას დაერიცხა 80 მანეთი. თუ გავყოფთ 16 მანქანას სამუშაო დღეების რაოდენობაზე, მაშინ მივიღებთ, რომ მიქაუტაძე ერთ მანქანას სამი დღის განმავლობაში ტვირთავდა. ნუ დაგვიჯერებენ, რომ ამ პერიოდში ქარხანაში სამუშაო თავსაყრელად არის.

არასწორია სამედიცინო ინსტიტუტში. წარმოდგენილი საწარმოო სტაჟის ცნობა, რომელსაც ხელს აწერს საკონსერვო ქარხნის დირექტორი ა. კობახიძე. ხელფასის რაოდენობა ფიქტიურად გადანაწილებულია იმ თვეებზე, სადაც გამომუშავება დაბალია ან სულ არ არის. მაგალითად, 1972 წლის იანვარსა და თებერვალში მარინეს 30,80 და 41,80 მანეთი ჰქონდა გამომუშავება. საბუთში კი წარმოდგენილია შესაბამისად 60,86 და 61,08 მანეთი. ხოლო ივნის-ივლისში სულ არ ჩქონია გამომუშავება, წარმოდგენილ საბუთში კი ჩაწერილია 80 და 69,90 მანეთი.

ხელფასების მიღების უწყისებზე, როგორც მოლარე ნ. ბოჭორიშვილმა აღიარა, მ. მიქაუტაძის მაგივრად სხვები აწერდნენ ხელს. ზოჯერ მისი უმცროსი და მოდიოდა. აპრილში როდესაც მან 208 მანეთი (?!) გამოიმუშავა, ხელფასის მიღების უწყისს ვინ მოაწერა ხელი, მოლარეს არ ახსოვს.

— კი მაგრამ, — ვეკითხებით საკონსერვო ქარხნის დირექტორს, — არ შეეძლოთ ნამდვილად მოწონავდა მუშა გამოგეზავნათ ლიმიტით?

— სხვებს არავის არ უნდოდა სწავლა...

— ნუთუ ასეა საქმე? — გავიხუმრეთ ასალგაზრდა მუშებს, — მარილაც არ გინდათ სწავლა?

— სწავლა როგორ არ გვინდა, მაგრამ სად არის ლიმიტი?..

• • •

დიდხანს იმტვრევდა თავს ახმეტის კომუნალური მეურნეობის საწარმოთა კომბინატის უფროსი და საკალაქო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე მისეულ ვლადიმერის-ძე მეტრეველი, რა მოეგონებინა ისეთი, რომ სამედიცინო ინსტიტუტის მოსამზადებელი განყოფილების მიმღები კომისიის წევრები გაეცინებინა თავისი ქალიშვილის გულნაზ მეტრეველის საზოგადოებრივი მოღვაწეობის მასშტაბით.

„— ახლა ყველაზე დიდი დაფასება დეპუტატებს აქვთ. ოღდა, ჩემს შვილს ახმეტის საკალაქო საბჭოს დეპუტატად გავაფორმებ“, — აწყალებდა მაცდური აზრი მისეულს.

„— კი მაგრამ არჩევნების გარეშე განა ასეთი რამ შეიძლება, ეს ხომ დანაშაულია?“ — უსმობდა კეთილგონიერება.

„— არჩევნები რათ მინდა, განა ტყუილად ვასრულებ ახმეტის საკალაქო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის მოვალეობას? მე თვითონ ავიარჩევ. ვის მოუვა აზრად შეამოწმოს ჩემი შვილი, მართლაც დეპუტატია თუ არა“ — არ ეშვებოდა მისეულს მაცდური აზრი.

დატრიალდა ზ. მეტრეველი, აქეთ ყალბი დასასიათება და სათანადო საბუთები შეადგინა ქალიშვილის დეპუტატობის დასამტკიცებლად. მარტო ამას როდი დასჯერდა. საბუთებში კიდევ ერთი სპეციალური განცხადება ჩააკერა, რომლითაც ვითომდა ახმეტის მშრომელები შუამდგომლობდნენ სამედიცინო ინსტიტუტის რექტორის წინაშე, რომ მათ მიერ არჩეული დეპუტატი გ. მეტრეველი ჩაერიცხათ მოსამზადებელ განყოფილებაზე. კომბინატის უფროსს ხელმოწერას ვინ დაამაღლიდა, და მზრუნველმა მამამ მეგობრებში, ნათესავებში ნაცნობ-უცნობებთან 175 ხელწერა მოაგროვა. სიყალბეს არც მომავალი ექიმი გ. მეტრეველი დაერიდა. ანკეტაში მან არასწორად უჩვენა ის ფაქტები, რომ ის იყო ხკკ წევრობის კანდიდატი, ხოლო მამა მისეულ მეტრეველი ახმეტის სკოლა-ინტერნატის მასწავლებელად მუშაობდა.

სამედიცინო ინსტიტუტის მოსამზადებელ განყოფილებაზე მართლაც დიდი პატივისცემით მიიღეს გ. მეტრეველი. საბუთები მხოლოდ მის სასახელო საქმ

ფიქრები დედაშვილობაზე

ერთი მხვნელ-მთესველი კაცი ვარ. მართალია, სკოლა არ დამამთავრებია, მაგრამ კუთხე-მეზობლობაში კი არა, ხანდახან სასოფლო საქმეშიც ჭკუას მეკითხებიან. ასეა ჩემი მეუღლეც — საკოლმეურნეო შრომაში ტარავის ერავის უდებს. ჯილღო არ აკლია და დაფასება, მაგრამ საქმე საქმეზე რომ მიდგა, ორივენი დავიბენით და ერთმანეთს ვეკითხებით: „რა ამბავია ჩვენს თავს, რა დავაშავეთ, რისთვის ვისჯებით?“.

თქვენს გაზეთში ბევრი ამბავი და რჩევა-დარიგება წაგვიკითხავს და ჩვენც გადავწყვიტეთ მოგმართოთ, ოღონდ თუ ამ წერილს დაბეჭდავს დაპირებთ, გთხოვთ ჩვენს ვინაობას ნუ გაამხელთ.

ერთი ქალიშვილი გვყავს. სოფლის პირობაზე, რომ იტყვიან, ხელის გულზე გვესვა და სულს ვუბერავდით, შეზობლები რომ ყანაში თუ ვენახში შვილებს გვერდში ამოიყენებდნენ, ჩემი ცოლი იმათ საყვედურებით იკლებდა: „გულს მაგვრად ქვა გიდევთ მკერდშიო“, შვილს კი დღენაადგ ეჩიჩინებოდა: ოღონდ კარგად ისწავლე და შენი არავერი გვინდა, ჩვენც გვიყო ამ დასაქცევ მიწაში ნიჩჩნა და ოროლობენი ტალახის ზელა, შენ მაინც ივარგე და ხალხში გაერიეო.

ცოდვას ვერ ვიტყვი, და ჩვენმა ეთერმა სკოლაც კარგად დამამთავრა და ინსტიტუტშიც სახელოვნად სწავლობდა. ჩვენ სიხარულით ხელი ცას გვიწვდებოდა და, რაც შეგვეძლო, თავს არ ვიზოგავდით. არ მოგვიშვდესო და, რაც გაგვაჩნდა, ვუზიდეთ და ვუგზავნეთ. ტოლებში გული არ დაიჩაგროსო და — ჩვენთვის ჩასაცმელი არ გვემეტებოდა და დასახურავი — და მაინც მისთვის ყველაფერი გვეცოტავებოდა. დედამისი გიმრიელ კერძს რომ გაკეთებდა, ლუკმას ზედ ცრემლს აყოლებდა — ვაითუ, ჩემს ეთერს შიაო, ვაითუ სცივაო, ვაითუ რაიმე აკლიაო... თუმცა ნამდვილად არაფერი აკლდა.

მახსოვს, მე და დედამისი რომ დავიტვირთეთ და თბილისში შვილის სანახავად ნავედით, რკინიგზის სადგურში იმოდენა ხალხში ჩვენი შვილი მთვარესავით ანათებდა და ისე იყო ჩაცმულ-დახურული, რომ ჩვენი უბრალო ჩაცმულობით მის გვერდით გავლა გვეუხერხულა. ამიტომ იყო, რომ დედამისმა გადაულაპარაკა — წინ იარეო, — ჩვენ კი მოშორებით, უბრებივით მივყვებოდით. ბინაზე რომ მივედით, გოგომ საყვედურიც კი გვითხრა: უკეთესი არაფერი გქონდათ, რომ ჩაგეცვათო. მაგრამ ხომ არ დავამადლებდით, ყველაფერი შენ გინდაო? ჰოდა, რახან მეტი საშუალება არა გვქონდა, ის იყო და ის — ქალაქში აღარ ჩაგვიკითხავს. ისევ თვითონ თუ ჩამოვიდოდა და თავისი კარგი სწავლით გაგვახარებდა. ნაჯახი და დაისვენოსო, და დედამისი შინ ხელს როგორ გაანძრევინებდა! ის კი არა, დილაობით რძესა და ხაჭაპურს ლოგინში მოუტანდა.

უმაღლესი რომ დაამთავრა, მართალია, თვალი და გული გზისკენ გვიჭირა, — ჩვენს რაიონში მისთვის სამუშაო ადგილიც გვქონდა შეგულებული, მაგრამ თბილისში მინდა დარჩენაო, იქ უნდა ვიმუშაოო და ისევ მის ბედნიერებაზე ფიქრმა აჯობა ჩვენს ჩუმ ნატვრასა და სურვილს.

ახლა წერილი მივიღეთ. გათხოვილა, კარგი ქმარი უშოვნია, შეძლებულ ოჯახში შესულა. გვწერს: მე და ჩემი ქმარი სამოგზაუროდ მივდივართ და რომ დავბრუნდებით, მაშინ ვინახულებთო.

ერთი სიტყვით, ჩვენი ერთადერთა ისე გათხოვდა, რომ არათუ დაგვიკითხა — საქმროც არ გვიჩვენა, ქორწილშიც არ დაგვპატიჟა. ალბათ, ჩვენი ხალხში გამოჩენა ეუხერხულა და თუ ასეა, იქნებ, არც ქმარი დაგვანახვოს. ქმრის ნათესაობის გაცნობაზე ხომ ფიქრიც ზედმეტია...

ქვეყნად გაუგებარი რა დარჩენილა! ჩვენ ახლა ომის შიმით აღარა ვართ, სოფელი რომ გაიგებს და შეგვეკითხებიან, რა ვუთხრათ, რა ვუპასუხოთ? ჰოდა, მე და ჩემი ცოლი ეჩვეთ, შიშითა და სირცხვილით თავგზააბნეულები, ერთმანეთს შევლაპარაკობთ: „ეს რა გვიყო ჩვენმა შვილმა, რატომ დაგვსაჯა, რა დავუშავეთ?.

ვ. ვ.

აყვავდა ნუში...

ბ. ბეშპაძის ფოტოეტიუდი (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ფიქრები დედაშვილობაზე

რასაც დათესავ...

ადამიანი რედაქციისგან პასუხს ელოდება, ყველა ტკივილს, შიშსა და ეჭვებს, შელახულ თავმოყვარეობას, თეთრად გატეხილ დამეებს მან ფარატინა ქაღალდზე მოუყარა თავი და ახლა ჩვენგან რჩევას, ნუგეშს ელოდება. მისამართს კი არ გვატყობინებს, ალბათ ხურს ჩვენი პასუხი ყველამ და, რაც მთავარია, მისმა ერთმა გაიგოს, გაიგოს და თვალი აეხილოს, სინდისის ქენჯნა იგრძნოს, დანაშაული მოინანიოს.

ერთი სიტყვით, ჩვენმა წერილმა რეპლიკაციის ქაღალდის მაგივრობა უნდა გასწიოს — ქვეყნის მარჩენალი, მზნელ-მთესველი კაცის ღირსება აღადგინოს. მერედა ვის წინაშე? ერთადერთი შვილის წინაშე...

ასეთ ბარათს მიიღებ და ხელები უილაჯოდ ჩამოგცვივა, რა უნდა უპასუხო?

განა ეთერისთვის ახლს ვიტყვით რასმე, თუ კიდევ ერთხელ დავწერთ, რომ ყველა შრომა პატივსაცემია, რაც ადამიანთა სიკეთეს ხმარდება? რომ ჩვენში არ არსებობს შრომა შეურაცხმყოფელი და დამამცირებელი და მხოლოდ იმის შეგნება, რომ საჭირო და სასარგებლო წევრი ხარ იმ ოჯახისა და კოლექტივისა, სადაც ცხოვრობ და მუშაობ, შეგნება იმისა, რომ შენც საშენო წვლილი შეგაქვს ერთ დიდ, ხაქვეყნო საქმეში, განიჭებს ნამდვილ ბედნიერებასა და კმაყოფილებას?

არა, უთვალავჯერ გამეორებულ და ჩვენი ცხოვრების ნორმად ქცეულ ჭეშმარიტებაზე მსჯელობას აღარ მოვყვებით.

მაგრამ ეს ბარათი გამონაკლისი ხომ იყოს...

მაგონდება: ჩემს სკოლაში ერთი ბოგონა სწავლობდა. მოდან სავანგებოდ იყო ჩაცმულ-დახურული. მაგრამ დედამისი სკოლაში მოსული არავის უნახა — ხან რას ბმიზეზებდა და ხან რას. თურმე, ერთ დაწესებულებაში მუშაობდა დამლაგებლად და ეს იმდენად ეთაკილებოდა, რომ ბავშვიც არ გვამხელდა ამ ამბავს. მერე კი, როცა მისი „საიდუმლო“ მაინც გამომეცხადა, გოგონამ ეს ისე ტრაგიკულად განიცადა, რომ ის დღე იყო და ის დღე — ჩვენს სკოლაში აღარ გამოჩენილა.

აი ეს ამბავი გამახსენდა, როცა ამას წინათ ერთ წვეულებაზე მოვხვდი და იქ ჩვენს შორის მყოფი სახელმოხვეჭილი მეცნიერისა და ყველასათვის პატივსაცემი ადამიანის სადღეგრძელო შეესვა: მაშინ ეს კაცი წამოდგა და თქვა: „მე ნუ მაქებთ, თუ რამ კარგი ჩემში, ამას დედას უნდა ვუმადლიდე — შრომისა და ადამიანების სიყვარული იმან მასწავლა. იმ სკოლის დამლაგებელი იყო ხადაც მე ვსწავლობდი. დილაადრიან ან გაკვეთილების დამთავრების შემდეგ გვერდით ამოვუდგებოდი და ვეხმარებოდი. ხუთი შვილი გამოგვზარდა, ჰო და, რას მოვაკლებდით? მაგრამ დედა მთელ სკოლას ისე უყვარდა, რომ დიდხანს ვერ შეელია თავის სამუშაოს“, — და სიყვარულით შესვა თავისი მშრომელი, ჭკვიანი დედის სადღეგრძელო.

თორემ, აბა რა სიკეთეს უნდა მოელოდნენ მშობლები შვილისგან, რომელსაც დღენიადაგ ჩასჩიჩინებენენ, ჩვენც გვეყოფა მიწაში ჩიჩჩნა და ტალახის ზელა, შენ მაინც იქეცი ადამიანად და ხალხში გაერიეო, ის მშობლები, რომლებმაც შვილის გვერდით გაავლა ვერ გაბედეს, რომ თავისი „უბრალო ჩაცმულობით“ არ შეერცხვინათ?

ჭკვრა: ეთერის თანატოლებს, რომლებსაც ასე იბრალებდა ბ. ბ.-ს მეუღლე, რა წარმატებებსაც უნდა მიაღწიონ მათ, არასოდეს არ ეჭნებათ ეს ქედმაღლობა გლეხის შრომის მიმართ, იმ მიწის მიმართ, რომელიც მშობლებმა ბავშვობიდან შეაყვარეს, მაშინ, როდესაც ხვნა-თესვასა თუ მოსავლის მოვლა-კრეფაში გვერდში ამოიყენებდნენ და თვალნათლივ უჩვენებდნენ ჩვენი კეთილი, მარჩენალი დედამიწის სასწაულებრივ ძალას.

„არაფერს ვაკლებდით, ყველაფერი მისთვის გვინდოდა“, — გვწერს ბ. ბ. გულწრფელად, რადგან მშობლებს ასე სჯერათ და ის არ იცვამ, როგორ გაალარიბეს თავისი ერთა, როცა ბავშვობიდანვე ეწაროვეს ადამიანისათვის წმიდათა წმიდა რამ — მიწის სიყვარული.

ეს ის სიყვარულია, ან წელს მიტანებულ ბერიკაცს ჩრდილში წოლას რომ არ დააცლის, ჯოხშებიჯგებულს ზვარში გაიყვანს და იქ ფეშმორთხმულს აფურჩხინებ ბ ნ, ალოლიავებინებს ვაზის ლორთქო ყლორტებს, ხელის გულებით ახნულებს ყვავილების მოსარწყავად. ბებია წუხდა, ზედმეტს ნუ იზამთ, არ დაისიცხოთ, მზემ არ დაგკრათო, მაგრამ ისე ვიყავით აზარტში შესული, რომ ჩვენი დაშოშმინება აღარ შეიძლებოდა. ჰო და, იმასაც, კმაყოფილს, ტუჩის კუთხეში ეღიმებოდა.

ჩემი ბავშვობის ორიოდე ზაფხული საბერეულოს ერთ სოფელში გავატარე. იქ ჩემი შორეული მამიდები ცხოვრობდნენ. ერთი მათგანი, ჩაის დამკვრელი მკრეფავი, პლანტაციაში ათენ-ადამებდა. იმ მამიდაზე, რომ იტყვიან, ტკბილავით ვიყავი მიკრული და ვერაფრით მაშორებდნენ, თუმცა ბევრს მეხვეწებოდნენ, მეჩხუბებოდნენ და მემუქრებოდნენ, თბილისში დაგაბრუნებთო.

...და მე მადლობელი ვარ იმ წლებისა. მადლობელი ვარ, რადგან ჩემი ბავშვობიდან ასე ტკბილად დამამახსოვრდა არა ხოჭის და ქობულეთის მცხუნვარე პლაჟები, არა ბორჯომ-ბაღის ატრაქციონები და გუგული მატარებელი, არამედ ის ხიხარულის ელდა, ბოხტანში, საკუთარ კვალზე ახლად ამოწყვარილი ზაფრანა რომ დავინახე. ხაყვარელია მოხაგონრად შუაღამისას მოვარდნილი ქარი და ბაღში ატმების ხმაური ცვენა; მთელი ღამის ძილფხიზლობა, რომ ალერონზე არავის მოესწრო დობილოში ქარისაგან ჩამობერტყილი კაკლების მობოქვა; ბელული რიკულებიან აივანზე ატმის ჩირვა; მარნის თავზე ტკბილხკვერიანი ლახტები; ჩემი ხელით დარჩეული კვახის მარცვლის ჩურჩხელები; ჩემი ხელით მოკრეფილი მაყვლის ფელამუში; ეკალბარდებში დაკაწრული მკლავები: კაკლის წენგოთი დაფერილი ტუჩები...

მაგონდება ხამეგრელოს თაკარა შუადღე. ცა გავარვარებული ხბილენძის ქვაბივით დამხობია დედამიწას და ცხელი ჩქერალები ეღვრება მიწას. დაცარიელებული პლანტაციები. დადუმებული ქრიმენობლები. უკიდეგანო, ყოვლისმომცველი ხიჩუმე, ხიჩუმე, რომელიც რაღაც დიადი, გრანდიოზული სიმფონიასავით შემოდის შენში, გაბრუებს და თავბრუს გახვევს, თითებში კი ხაამოდ ტკაცუნობს ჩაის მსუყე დუყები. პატარა კალათი ნელნელა ივსება და შენც, რაღაც პირველყოფილი ნეტარებით ხავხე, პირველად ცხადად გრძნობ, რომ ნაწილი ხარ ვეებერთელა, თვალშეუდგამი სამყაროსი, სულ ერთი ცოცხენ, პაწია ნაწილი, და ეს აზრი ერთდროულად სიამაყესაც გაგრძნობინებს და მოწიწებასაც.

ბუნებასთან შერწყმის, სამყაროსთან შენივთების დიადი წუთები! რა ბევრი დაუკარგავს იმას, ვისაც ის არ განუცდია!..

მე მინახავს, ჩემო მკითხველო, როგორ ხხლავდა და უვლიდა წყნეთში თავისი ეზოს ხეხილსა და ყვავილნარს ჩვენგან აწ წასული ხახელოვანი ენათმეცნიერი, და დამერწმუნეთ, იმ წუთებში მას ისეთივე შთაგონებული სახე ჰქონდა, როგორც მაშინ, როცა უნივერსიტეტის აუდიტორიაში ლექციას გვიკითხავდა.

მინახავს: ხახელმწიფო მოღვაწე, რომელსაც დღეღამეში ოცდაოთხი საათი ეცოტავებოდა საქვეყნო საქმეთა მოსაგვარებლად, საღამოსო დროს მაინც პოულობდა, რომ ზაფხულში, შესვენების იშვიათ საათებში ყამირი მიწა გადებრუნებინა და ფუტკრისთვის მოეკლო. და იმ ეზოში, სტანდარტული საგარაჟო კოტეჯებით გარშემორტყმული, ის ერთადერთი სკა ისე იდგა, როგორც მწვანე ხამლოცველო, მუხლჩაუხრელი კაცის, ფრთამოფლეული ფუტკრის მუშაკობის ხადიდებლად.

შარშან ხიღნაღის მშრომელებმა შეხვედრა მოუწყეს თავის გამოჩენილ თანამემამულეს, ხახელგანძმელ ფხიქიატრს. ნეტავ ვინახავ, რა ჭაბუკურად გადმოხტა მანქანიდან ეს კაცი, როგორ გაექანა პირდაპირ ვენახისკენ, ხელი წამოავლო ბარს და ხარბად დაუწყო ბელტებს გადაბრუნება. შეწუხდნენ შემხვედრები, მოხუცი არ დაიხიცხოს, არ გადაიალოსო. მაგრამ დაშლა ვერ შებედეს — იმოდენა ნეტარება ეწერა წამოჭარხლებულ, ოფლგადაღვრილ სახეზე...

მიწა არის ჩვენი დედა, ჩვენ კი პლანეტის მილიარდობით ადამიანი, მის ბარაქაზე, მხუეე კერძს დაწაფებულნი, მისი წიაღიდან ვართ შობილნი, ისევ მიგვიბარებს და შემდეგ ჩვენს შვილებს, შვილიშვილებსა და შორეულ შთამომავლობას დაუხვდება ისევ ეს ახალგაზრდა, ნაყოფიერი და მშვენიერი, დაუხვდება იმ მარჯვეკაჟურთხეული მხვნელ-მთესველი კაცის წყალობით.

ალბათ ეთერს ამაზე არახოდეს უფიქრია. მოხდა ხაოცარი რამ: პატიოსანმა ცოლ-ქმარმა, რომელთაც ხახელი, კეთილდღეობა, ჯილდოები და პატივისცემა შრომამ მოუტანა, ადამიანებმა, რომელთაც „კუთხე-მეზობლობაში კი არა, ხაოფლო ხაქმეშიც ქკუას ეკითხებიან“, ხაკუთარ შვილს ვერ შთაგონეს მშობლების შრომის პატივისცემა და მარჩენალი მიწის სიყვარული!

ოჯახი ხომ ხკოლაა და ბავშვის ცხოვრების ანბანის შესწავლას იმ ხკოლაში ეყრება ხაძირკველი. იქიდან იწყებს ჩამოყალიბებას მომავალი მოქალაქის დამოკიდებულება ამა თუ იმ მოვლენის მიმართ, ადამიანების მიმართ, კეთილისა და ბოროტის მიმართ...

ისევ წერილს ვუბრუნდები:

„მე ერთი მხვნელ-მთესველი კაცი ვარ“...

ადამიანი სულ რაღაცას თესავს — ავს თუ კარგს. თესავს ოჯახში, მახლობლებში, ნაცნობ-მეგობრებში და საერთოდ ამ ვრცელ უკიდეგანო ქვეყანაში. კარგს — შეგნებულად, ავს — ზოგჯერ შეუგნებლად და ავიწყდება ერთი ბრძნული ნათქვამი:

„რასაც დათესავ, იმას მოიმკი“...

ნანული ბარათაშვილი.

ალზრდის ერთ მტკივნეულ საკითხზე

წარუებინებს, აფხვიერებინებს მიწას.

ეს ის სიყვარულია, ზამთრის ბუნებრივ ღამეებში ფერადფერ ხიზმრებად რომ მოგვეელინება, პირველი კვირტის აფეთქებისთანავე მწვანე მდელოებს, თეთრვარდისფერი ტეკრებისა და ლურჯი ჭალების ნახვის ხახმილს წაგვიკიდებს და ძალუმად გვეზიდება, ქალაქში აღარ გვაჩერებს.

ეს ის სიყვარულია, რომლის ნამცეცა თესლი თუ ვინმე ბელმადლიანმა ხულში ჩაგიგდო, იდგამს და იდგამს ფეხვებს, ფოთოლ და ფოთოლ ულორტებს, და რაც ხანი გადის, რაც წლები გემატება, სულ უფრო მეტად ეუფლება შენს არსებას.

ბებია იყო ჩემთვის ეს ხელმადლიანი მთესველი. მახსოვს, ომი რომ დაიწყო და ავარაკებზე ნაწილობზე-ნალოლოიავები ბავშვები ჭიათურის მახლობლად გორაკებზე შეეფინენ ერთ პატარა სოფელში ბებიას ჩაგვგვარეს, იქ ჩვენსავით პაწია ხამი თუნუელა, ხამი პატარა ოთხი და მაყვლის ხაკრეფი ხამი ცოცქნა კალათა დაგვხვდა. ბოხტანში ხამი პატარა კვალი გამოგვიყვეს, ჩვენ დაგვაოეხვინეს და ჩვენივე ეუვლიდით. ხახლი ბეკობის თავზე გვედგა, წყარო კი დაბლა, ჭალაში მოეფინებოდა. გვალვა რომ დადგებოდა, ბავშვები ბარე ხუთჯერ ჩავირბენდით ბეკობს და ოფლში გახვეიმენეულები მოვარბენინებდით ალმართში თუ-

ნგულებს კვლების მოსარწყავად. ბებია წუხდა, ზედმეტს ნუ იზამთ, არ დაისიცხოთ, მზემ არ დაგკრათო, მაგრამ ისე ვიყავით აზარტში შესული, რომ ჩვენი დაშოშმინება აღარ შეიძლებოდა. ჰო და, იმასაც, კმაყოფილს, ტუჩის კუთხეში ეღიმებოდა.

ჩემი ბავშვობის ორიოდე ზაფხული საბერეულოს ერთ სოფელში გავატარე. იქ ჩემი შორეული მამიდები ცხოვრობდნენ. ერთი მათგანი, ჩაის დამკვრელი მკრეფავი, პლანტაციაში ათენ-ადამებდა. იმ მამიდაზე, რომ იტყვიან, ტკბილავით ვიყავი მიკრული და ვერაფრით მაშორებდნენ, თუმცა ბევრს მეხვეწებოდნენ, მეჩხუბებოდნენ და მემუქრებოდნენ, თბილისში დაგაბრუნებთო.

...და მე მადლობელი ვარ იმ წლებისა. მადლობელი ვარ, რადგან ჩემი ბავშვობიდან ასე ტკბილად დამამახსოვრდა არა ხოჭის და ქობულეთის მცხუნვარე პლაჟები, არა ბორჯომ-ბაღის ატრაქციონები და გუგული მატარებელი, არამედ ის ხიხარულის ელდა, ბოხტანში, საკუთარ კვალზე ახლად ამოწყვარილი ზაფრანა რომ დავინახე. ხაყვარელია მოხაგონრად შუაღამისას მოვარდნილი ქარი და ბაღში ატმების ხმაური ცვენა; მთელი ღამის ძილფხიზლობა, რომ ალერონზე არავის მოესწრო დობილოში ქარისაგან ჩამობერტყილი კაკლების მობოქვა; ბელული რიკულებიან აივანზე ატმის ჩირვა; მარნის თავზე ტკბილხკვერიანი ლახტები; ჩემი ხელით დარჩეული კვახის მარცვლის ჩურჩხელები; ჩემი ხელით მოკრეფილი მაყვლის ფელამუში; ეკალბარდებში დაკაწრული მკლავები: კაკლის წენგოთი დაფერილი ტუჩები...

მაგონდება ხამეგრელოს თაკარა შუადღე. ცა გავარვარებული ხბილენძის ქვაბივით დამხობია დედამიწას და ცხელი ჩქერალები ეღვრება მიწას. დაცარიელებული პლანტაციები. დადუმებული ქრიმენობლები. უკიდეგანო, ყოვლისმომცველი ხიჩუმე, ხიჩუმე, რომელიც რაღაც დიადი, გრანდიოზული სიმფონიასავით შემოდის შენში, გაბრუებს და თავბრუს გახვევს, თითებში კი ხაამოდ ტკაცუნობს ჩაის მსუყე დუყები. პატარა კალათი ნელნელა ივსება და შენც, რაღაც პირველყოფილი ნეტარებით ხავხე, პირველად ცხადად გრძნობ, რომ ნაწილი ხარ ვეებერთელა, თვალშეუდგამი სამყაროსი, სულ ერთი ცოცქნ, პაწია ნაწილი, და ეს აზრი ერთდროულად სიამაყესაც გაგრძნობინებს და მოწიწებასაც.

ბუნებასთან შერწყმის, სამყაროსთან შენივთების დიადი წუთები! რა ბევრი დაუკარგავს იმას, ვისაც ის არ განუცდია!..

მე მინახავს, ჩემო მკითხველო, როგორ ხხლავდა და უვლიდა წყნეთში თავისი ეზოს ხეხილსა და ყვავილნარს ჩვენგან აწ წასული ხახელოვანი ენათმეცნიერი, და დამერწმუნეთ, იმ წუთებში მას ისეთივე შთაგონებული სახე ჰქონდა, როგორც მაშინ, როცა უნივერსიტეტის აუდიტორიაში ლექციას გვიკითხავდა.

მინახავს: ხახელმწიფო მოღვაწე, რომელსაც დღეღამეში ოცდაოთხი საათი ეცოტავებოდა საქვეყნო საქმეთა მოსაგვარებლად, საღამოსო დროს მაინც პოულობდა, რომ ზაფხულში, შესვენების იშვიათ საათებში ყამირი მიწა გადებრუნებინა და ფუტკრისთვის მოეკლო. და იმ ეზოში, სტანდარტული საგარაჟო კოტეჯებით გარშემორტყმული, ის ერთადერთი სკა ისე იდგა, როგორც მწვანე ხამლოცველო, მუხლჩაუხრელი კაცის, ფრთამოფლეული ფუტკრის მუშაკობის ხადიდებლად.

შარშან ხიღნაღის მშრომელებმა შეხვედრა მოუწყეს თავის გამოჩენილ თანამემამულეს, ხახელგანძმელ ფხიქიატრს. ნეტავ ვინახავ, რა ჭაბუკურად გადმოხტა მანქანიდან ეს კაცი, როგორ გაექანა პირდაპირ ვენახისკენ, ხელი წამოავლო ბარს და ხარბად დაუწყო ბელტებს გადაბრუნება. შეწუხდნენ შემხვედრები, მოხუცი არ დაიხიცხოს, არ გადაიალოსო. მაგრამ დაშლა ვერ შებედეს — იმოდენა ნეტარება ეწერა წამოჭარხლებულ, ოფლგადაღვრილ სახეზე...

მიწა არის ჩვენი დედა, ჩვენ კი პლანეტის მილიარდობით ადამიანი, მის ბარაქაზე, მხუეე კერძს დაწაფებულნი, მისი წიაღიდან ვართ შობილნი, ისევ მიგვიბარებს და შემდეგ ჩვენს შვილებს, შვილიშვილებსა და შორეულ შთამომავლობას დაუხვდება ისევ ეს ახალგაზრდა, ნაყოფიერი და მშვენიერი, დაუხვდება იმ მარჯვეკაჟურთხეული მხვნელ-მთესველი კაცის წყალობით.

ალბათ ეთერს ამაზე არახოდეს უფიქრია. მოხდა ხაოცარი რამ: პატიოსანმა ცოლ-ქმარმა, რომელთაც ხახელი, კეთილდღეობა, ჯილდოები და პატივისცემა შრომამ მოუტანა, ადამიანებმა, რომელთაც „კუთხე-მეზობლობაში კი არა, ხაოფლო ხაქმეშიც ქკუას ეკითხებიან“, ხაკუთარ შვილს ვერ შთაგონეს მშობლების შრომის პატივისცემა და მარჩენალი მიწის სიყვარული!

ოჯახი ხომ ხკოლაა და ბავშვის ცხოვრების ანბანის შესწავლას იმ ხკოლაში ეყრება ხაძირკველი. იქიდან იწყებს ჩამოყალიბებას მომავალი მოქალაქის დამოკიდებულება ამა თუ იმ მოვლენის მიმართ, ადამიანების მიმართ, კეთილისა და ბოროტის მიმართ...

ისევ წერილს ვუბრუნდები:

„მე ერთი მხვნელ-მთესველი კაცი ვარ“...

ადამიანი სულ რაღაცას თესავს — ავს თუ კარგს. თესავს ოჯახში, მახლობლებში, ნაცნობ-მეგობრებში და საერთოდ ამ ვრცელ უკიდეგანო ქვეყანაში. კარგს — შეგნებულად, ავს — ზოგჯერ შეუგნებლად და ავიწყდება ერთი ბრძნული ნათქვამი:

„რასაც დათესავ, იმას მოიმკი“...

ნანული ბარათაშვილი.

ეს მოხდა მთაში

თავდადება

ზამთრის სუსხიანი ღამე იყო, ბარდნიდა. ქედის რაიონის მაღალმთიანი სოფლის გეგელიძეების კოლმეურნეობის წევრი მ. სანიკიძე ცუდად გახდა. საჭირო იყო ექიმის დახმარება, მაგრამ დიდი თოვლის გამო გზებზე ავტომანქანით მოძრობა შეწყვეტილი იყო.

ცხმორისის უბნის საავადმყოფოს ექიმს ეთერ სახნელიძეს ბინაზე დაურეკეს და სთხოვეს ავადმყოფის შეგლა.

— ვეცდები ამოვადწიო, — დაიმედა ექიმმა ავადმყოფის ახლობლები.

ექიმი, ექიმის თანაშემწე მერი შანიძე და სანიტარი ქაზიმ ბერიძე არც ღამეს, არც ქარბუქსა და არც დიდ თოვლს შეეშინდნენ და გზას გაუდგნენ.

არც ავადმყოფის მეზობლებს დაუზოგავთ თავი, რაკი ავტომანქანის გზა ჩაკეტილი იყო, ტრაქტორისტმა მეკლუდ ბალაძემ ტრაქტორი აამზადა და მთელი სიფრთხილით ხეობაში დაეშვა.

ავადმყოფის მდგომარეობა რთული აღმოჩნდა. აუცილებელი გახდა სტაციონარული ჩარევა. ისევ ტრაქტორისტმა მ. ბალაძემ იყოჩაღა, ავადმყოფი და ექიმი ტრაქტორში ხაიმედოდ მოათავსა და საავადმყოფოსკენ გაუდგნენ გზას.

ამგვარად ავადმყოფი კარგად გრძნობს თავს.

ა. ანანიძე.



ა. ხ. მგელაძე

ა. ხ. მგელაძე დაიბადა 1892 წელს ოზურგეთის მაზრის სოფელ აკეთში. სრულიად ახალგაზრდა ჩაება შრომითს და რევოლუციურ საქმიანობაში. 1907 წელს მუშაობა დაიწყო ზუგდიდში ახალთამწყობად, იმავე საქმიანობას აგრძელებს სოხუმში 1909-1916 წლებში. ამავე პერიოდში დაუკავშირდა ბოლშევიკურ ორგანიზაციას.

1918 წელს აფხაზეთის ელეფთა აჯანყებაში მონაწილეობისათვის ა. მგელაძე დაპატიმრეს. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის ბრძოლაში ა. მგელაძემ აქტიური მონაწილეობა მიიღო. 1920 წელს იგი ბაქოში შედის XI არმიაში.

1921 წლიდან ა. მგელაძე ოზურგეთს უბრუნდება, სადაც უდგას რეკომს, სოფლის საბჭოს, 1930 წლიდან მას სხვადასხვა ხელმძღვანელ სამეურნეო სამუშაოზე ვხედავთ. ა. მგელაძე დაჯილდოებული იყო შრომის წითელი დროშის ორდენითა და მედლებით.

სპეტაკი კომუნისტის ა. მგელაძის ნათელი ხსოვნა დიდხანს დარჩება ჩვენს გულში.

ამხანაგების ჯგუფი.

ეს ამბავი ამაზე

... ...

... ...

... ...

... ...

... ...

... ...